

თვითმმართველი ქალაქი ქუთაისის საკრებულოს

დადგენილება №183 2013 წლის 27 თებერვალი

ქ. ქუთაისი

„თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის 2013 წლის ბიუჯეტის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2012 წლის 26 დეკემბრის №178 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის 2013 წლის ბიუჯეტის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2012 წლის 26 დეკემბრის №178 დადგენილების დანართში /სმ matsne@justice.gov.ge 8.01.2013. 190020020.35.123.016130/ შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
/დანართი წინამდებარე დადგენილებას თან ერთვის/

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ამირანი ხვადაგიანი

დანართი

თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის 2013 წლის ბიუჯეტი

თავი I

თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის:		სულ	მათ შორის:	
			წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
1	2	3	4	5	6	7	8
შემოსავლები	44,830.6	55,032.0	17,764.3	37,267.7	40,020.0	0.0	40,020.0
გადასახადები	5,041.9	4,547.5		4,547.5	4,200.0	0.0	4,200.0
გრანტები	30,456.6	41,976.2	17,764.3	24,211.9	27,406.7	0.0	27,406.7
სხვა შემოსავლები	9,332.1	8,508.3		8,508.3	8,413.3	0.0	8,413.3



ხარჯები	30,705.8	40,653.7	3,553.7	37,100.0	41,557.5	428.3	41,129.2
შრომის ანაზღაურება	4,104.3	4,986.8	0.0	4,986.8	5,737.2	0.0	5,737.2
საქონელი და მომსახურება	3,944.4	5,512.0	447.7	5,064.3	5,100.1	16.0	5,084.1
პროცენტი	441.9	350.1	0.0	350.1	442.0	0.0	442.0
სუბსიდიები	19,490.7	27,619.1	2,886.0	24,733.1	28,439.8	412.3	28,027.5
გრანტები	1,500.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,224.5	2,185.7	220.0	1,965.7	1,838.4	0.0	1,838.4
საოპერაციო სალდო	14,124.8	14,378.3	14,210.6	167.7	-1,537.5	-428.3	-1,109.2
არაფინანსური აქტივების ცვლილება	12,479.2	18,641.8	11,993.8	6,648.0	3,002.9	2,576.6	426.3
ზრდა	16,510.6	20,364.2	11,993.8	8,370.4	7,589.9	2,576.6	5,013.3
კლება	4,031.4	1,722.4		1,722.4	4,587.0	0.0	4,587.0
მთლიანი სალდო	1,645.6	-4,263.5	2,216.8	-6,480.3	-4,540.4	-3,004.9	-1,535.5
ფინანსური აქტივების ცვლილება	851.9	-5,043.8	2,216.8	-7,260.6	-5,292.4	-3,004.9	-2,287.5
ზრდა	11,305.1	6,521.0	2,997.4	3,523.6	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	11,305.1	6,521.0	2,997.4	3,523.6	0.0		
კლება	10,453.2	11,564.8	780.6	10,784.2	5,292.4	3,004.9	2,287.5
სხვა დებიტორული დავალიანებები	10,453.2	11,564.8	780.6	10,784.2	5,292.4	3,004.9	2,287.5
ვალდებულებების ცვლილება	-793.7	-780.3	0.0	-780.3	-752.0	0.0	-752.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო		0.0			0.0		
საგარეო		0.0			0.0		
კლება	793.7	780.3	0.0	780.3	752.0	0.0	752.0
საშინაო	793.7	780.3		780.3	752.0	0.0	752.0
საგარეო		0.0			0.0		
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

	2011 წლის	2012 წლის ფაქტი		2013 წლის გეგმა	
		მათ შორის:	მათ შორის:	მათ შორის:	მათ შორის:



დასახელება	ფაქტი	სულ	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
1	2	3	4	5	6	7	8
შემოსულობები	59,315.2	68,319.2	18,554.7	49,764.5	49,899.4	3,004.9	46,894.5
შემოსავლები	44,830.6	55,032.0	17,764.3	37,267.7	40,020.0		40,020.0
არაფინანსური აქტივების კლება	4,031.4	1,722.4		1,722.4	4,587.0		4,587.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	10,453.2	11,564.8	780.6	10,784.2	5,292.4	3,004.9	2,287.5
ვალდებულებების ზრდა		0.0			0.0		
გადასახდელები	48,010.1	61,798.2	15,547.5	46,250.7	49,899.4	3,004.9	46,894.5
ხარჯები	30,705.8	40,653.7	3,553.7	37,100.0	41,557.5	428.3	41,129.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	16,510.6	20,364.2	11,993.8	8,370.4	7,589.9	2,576.6	5,013.3
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)		0.0			0.0		
ვალდებულებების კლება	793.7	780.3		780.3	752.0		752.0
ნაშთის ცვლილება	11,305.1	6,521.0	2,997.4	3,523.6	0.0	0.0	0.0

მუხლი 3. თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის შემოსავლები 40020,0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
1	2	3	4	5	6	7	8
შემოსავლები	44830.6	55032.0	17764.3	37267.7	40020.0	0.0	40020.0
გადასახადები	5041.9	4547.5	0.0	4547.5	4200.0	0.0	4200.0
გრანტები	30456.6	41976.2	17764.3	24211.9	27406.7	0.0	27406.7



სხვა შემოსავლები	9332.1	8508.3	0.0	8508.3	8413.3	0.0	8413.3
------------------	--------	--------	-----	--------	--------	-----	--------

მუხლი 4. თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ბიუჯეტის გადასახადები

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
1	2	3	4	5	6	7	8
გადასახადები	5041.9	4547.5	0.0	4547.5	4200.0	0.0	4200.0
ქონების გადასახადი	5036.2	4546.3	0.0	4546.3	4200.0	0.0	4200.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3715.4	3535.4		3535.4	3090.0		3090.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)		13.3		13.3	0.0		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	172.8	207.2		207.2	110.0		110.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1145.9	789.4		789.4	1000.0		1000.0
სხვა გადასახადები ქონებაზე	2.1	1.0		1.0	0.0		
სხვა გადასახადები	5.7	1.2		1.2	0.0		

მუხლი 5. თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის გრანტები 27406.7 ათასი ლარის ოდენობით:

1	2	3	4	5	6	7	8
დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	30456.6	41976.2	17764.3	24211.9	27406.7	0.0	27406.7
სხვა დონის სახელმწიფოთა ერთეულებიდან მიღებული გრანტები	30456.6	41976.2	17764.3	24211.9	27406.7	0.0	27406.7
გათანაბრებითი ტრანსფერი	24108.6	24021.9		24021.9	27186.7		27186.7



მიზნობრივი ტრანსფერი	145.0	190.0		190.0	220.0		220.0
სპეციალური ტრანსფერი	6203.0	17764.3	17764.3		0.0		
პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ფინანსური დახმარება	243.0	1468.3	1468.3		0.0		
მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ფინანსური დახმარება		2016.0	2016.0		0.0		
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ფინანსური დახმარება	5750.0	14280.0	14280.0		0.0		
იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებიდან მიღებული გრანტები	210.0	0.0			0.0		

მუხლი 6. თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 8413,3 ათასი ლარის ოდენობით:

შემოსავლების დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის:		სულ	მათ შორის:	
			წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
1	2	3	4	5	6	7	8
სხვა შემოსავლები მათ შორის:	9332.1	8508.3	0.0	8508.3	8413.3	0.0	8413.3
პროცენტები მათ შორის:	980.0	189.7	0.0	189.7	1500.0		1500.0
დეპოზიტსა და ანგარიშზე დარიცხული პროცენტები	980.0	189.7		189.7	1500.0		1500.0
დივიდენდები	17.5	58.3		58.3	0.0		



რენტა	193.2	374.2	0.0	374.2	146.3	0.0	146.3
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	86.7	278.5		278.5	46.3		46.3
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	106.5	95.7		95.7	100.0		100.0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.1	0.0			0.0		
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	10.8	18.4		18.4	5.0		5.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	2085.7	1820.8		1820.8	2000.0		2000.0
ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი					0.0		
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	1110.7	1180.7		1180.7	1400.0		1400.0
ადგილობრივი მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა)	38.3	41.7		41.7	50.0		50.0
სხვა არაკლასიფიცირებული ადგილობრივი მოსაკრებელი	18.9	51.2		51.2	0.0		
შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	528.9	456.4		456.4	400.0		400.0
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მათ შორის:	2255.2	2327.0	0.0	2327.0	1510.0	0.0	1510.0
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	1656.7	2154.3	0.0	2154.3	1460.0	0.0	1460.0



აქედან:							
– შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის	1327.5	1293.8		1293.8	960.0		960.0
– შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	329.2	860.5		860.5	500.0		500.0
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	57.1	36.1		36.1	50.0		50.0
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)	541.4	136.6		136.6	0.0		
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები მათ შორის:	2092.8	1989.9	0.0	1989.9	1402.0	0.0	1402.0
შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვიდან	316.5	282.3		282.3	300.0		300.0
– სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი	1776.3	1707.6		1707.6	1102.0		1102.0

მუხლი 7. თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის ხარჯები 41557,5 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
1	2	3	4	5	6	7	8
ხარჯები	30,705.8	40,653.7	3,553.7	37,100.0	41,557.5	428.3	41,129.2
შრომის ანაზღაურება	4,104.3	4,986.8	0.0	4,986.8	5,737.2	0.0	5,737.2



საქონელი და მომსახურება	3,944.4	5,512.0	447.7	5,064.3	5,100.1	16.0	5,084.1
პროცენტი	441.9	350.1	0.0	350.1	442.0	0.0	442.0
სუბსიდიები	19,490.7	27,619.1	2,886.0	24,733.1	28,439.8	412.3	28,027.5
გრანტები	1,500.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,224.5	2,185.7	220.0	1,965.7	1,838.4	0.0	1,838.4
სხვა ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 8. თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 3002,9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 7589,9 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ორგანიზაციული კოდი	მხარჯავი ორგანიზაცია	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა
1	2	3	4	5
01 01	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	213.0	341.5	224.6
02 00	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	417.2	199.9	1339.2
03 00	ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	13703.2	17417.1	5936.7
04 00	განათლება	282.8	193.0	0.0
05 00	დასვენება, სპორტი, კულტურა	1689.2	2212.7	89.4
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	205.2	0.0	0.0
	სულ	16510.6	20364.2	7589.9

ბ) განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 4587,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

შემოსულობების კოდი	დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა



1	2	3	4	5
31	არაფინანსური აქტივების კლება	4031.4	1722.4	4587,0
311	შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	3836.6	514.5	2200.0
314	შემოსულობა არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან	194.8	1207.9	2387.0

მუხლი 9. ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა
1	2	3	4	5
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	7,816.2	7,635.3	8,329.6
7011	ადმარსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	5,638.4	7,235.2	7,887.6
70111	ადმარსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	5,345.5	6,763.8	7,487.6
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	292.9	471.4	400.0
70113	საგარეო ურთიერთობები			
7012	საგარეო ეკონომიკური დახმარება	0.0	0.0	0.0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	0.0	0.0	0.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	441.9	350.1	442.0
7017	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის	1,500.0	0.0	0.0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	235.9	50.0	0.0
702	თავდაცვა	0.0	0.0	0.0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1,781.5	1,885.2	2,842.6
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	681.3	483.9	0.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	1,100.2	1,401.3	2,842.6



704	ეკონომიკური საქმიანობა	2,954.8	6,614.7	3,480.3
7045	ტრანსპორტი	2,851.1	6,524.8	3,196.7
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2,851.1	6,524.8	3,196.7
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	34.0	19.7	37.4
70473	ტურიზმი	34.0	19.7	37.4
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	69.7	70.2	246.2
705	გარემოს დაცვა	3,907.2	5,849.7	5,194.3
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	3139.4	3927.8	3141.9
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	767.8	1921.9	2052.4
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	13,399.8	17,788.8	9,185.5
7061	ბინათმშენებლობა			
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	2,199.2	5,715.6	2,573.9
7063	წყალმომარაგება			
7064	გარეგანათება	2436.1	3181.0	3350.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	8764.5	8892.2	3261.6
707	ჯანმრთელობის დაცვა	756.1	1,008.7	780.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	101.2	118.8	150.0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	654.9	889.9	630.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	10,484.1	13,132.8	10,585.7
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	4508.6	5290.7	4440.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	5543.1	7407.7	5720.7
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	122.2	137.6	80.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	310.2	296.8	345.0
709	განათლება	5,006.1	5,515.6	7,235.0



7091	სკოლამდელი აღზრდა	4,959.4	5,508.3	7,235.0
710	სოციალური დაცვა	1,110.6	1,587.1	1,514.4
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1110.6	1587.1	1514.4
	სულ	47,216.4	61,017.9	49,147.4

მუხლი 10. თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

ა. თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის მთლიანი სალდო (-4540,4) ათასი ლარის ოდენობით.

ბ. თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება (-5292.4) ათასი ლარის ოდენობით.

განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 5292.4 ათასი ლარის ოდენობით

გ. თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (-752,0) ათასი ლარის ოდენობით.

განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 752,0 ათასი ლარის ოდენობით:

ვალდებულებების კლება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა
	793,7	780,3	752,0

მუხლი 11. ქალაქ ქუთაისის 2013 წლის ბიუჯეტის გადასახდევლების დაფინანსება განხორციელდეს ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის ერთიანი ანგარიშიდან ქალაქ ქუთაისის მერიის საფინანსო სამსახურის მიერ.

მუხლი 12. თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით საგანგებო ან/და გაუთვალისწინებელი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, შეიქმნეს სარეზერვო ფონდი და განისაზღვროს 400.0 ათასი ლარის ოდენობით, რომელსაც განკარგავს ქალაქ ქუთაისის მერი, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად. სარეზერვო ფონდის სახსრების გამოყენება შეიძლება მოხდეს იმ გაუთვალისწინებელი და საგანგებო ხარჯების დასაფინანსებლად, რომლებიც გათვალისწინებული არ იყო საბიუჯეტო ასიგნებაში.

მუხლი 13. წინა პერიოდში შეუსრულებელი ვალდებულებების დასაფარავად და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფისათვის თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან განისაზღვროს 100.0 ათასი ლარი.

მუხლი 14. გათვალისწინებულ იქნეს, ქალაქ ქუთაისში 2004–2005 წლებში განხორციელებული პროექტებისათვის აღებული ვალდებულებების დასაფინანსებლად (მათ შორის სესხის ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის) 1094,0 ათასი ლარი. დაფინანსება მოხდეს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერიას შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და სესხის მორიგების გრაფიკების მიხედვით, მერიის საფინანსო სამსახურის მიერ.

მუხლი 15. მიმდინარე წლის 1 მარტიდან გაიზარდოს ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებაში“ შემავალ ფილიალებში დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურება. გამომდინარე აქედან, დაევალოს ქალაქ ქუთაისის მერს, ბ. ბრეგაძეს მოამზადოს შესაბამისი საბიუჯეტო ცვლილების პროექტი, რომელშიც ასახული იქნება ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებისათვის“ დამტკიცებული ასიგნების ზრდა.

მუხლი 16. თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში განისაზღვროს ერთი ბავშვის მომსახურების საფასური თვეში 14 ლარის ოდენობით, ამასთან, მრავალშვილიანი /4 და მეტი შვილი/ ოჯახების, მარტოხელა დედების შვილები, ობოლი, ტყუპი (იგულისხმება ერთი აღსაზრდელი) და ლტოლვილი (მხოლოდ ქუთაისში რეგისტრირებული) აღსაზრდელები, №4 ფილიალის სარეაბილიტაციო ჯგუფის აღსაზრდელები გათავისუფლდნენ მომსახურების საფასურის გადახდისაგან.

მუხლი 17. თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი (ინსპექტირება) დაევალოს მერიის შესაბამისი სამსახურების



ხელმძღვანელებს, ქალაქ ქუთაისის მერის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 18. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 220,0 ათასი ლარი მიიძარბოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 150,0 ათასი ლარი;

ბ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 70,0 ათასი ლარი;

მუხლი 19. იმის გამო, რომ ქალაქში არსებული თეატრალური და მუსიკალური კოლექტივები, საჯარო სამართლისა და არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირები საკუთარი შემოსავლებით ვერ ფარავენ თავიანთ ხარჯებს, კულტურის, სპორტისა და განათლების განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, მათი დაფინანსება განხორციელდეს სუბსიდირების წესით.

მუხლი 20. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის შესაბამისად, ნება დაერთოს თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერს დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეუტანლად, თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის თანხმობით, მოახდინოს ცალკეული საბიუჯეტო ორგანიზაციების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდექს შორის თანხების გადანაწილება, საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახადების 5 %-ის ფარგლებში.

მუხლი 21. დადგინდეს, რომ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ბიუჯეტიდან სესხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით.

მუხლი 22. თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ბიუჯეტით დამტკიცებული ხარჯების დაფინანსება განხორციელდეს „ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, ვალდებულებების აღებისა და ხარჯვის გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2011 წლის 14 ივნისის №336 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

მუხლი 23. თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის 2013 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში განხორციელდეს ამ პროგრამებისა და ქვეპროგრამების მართვისათვის საჭირო სხვადასხვა ხარჯების დაფინანსება.

თავი II

თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 24. თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების აღწერა, მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (საგანგებო სიტუაციები) სტიქიური მოვლენების, უბედური შემთხვევებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში დახმარების გასაწევად მნიშვნელოვანია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ოპერატიული მოქმედება, მათი მზადყოფნა დროული და სათანადო დახმარების აღმოსაჩენად. აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება.

ა. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური (პროგრამული კოდი 02 01)

ა.ა პროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მერიის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

ა.ბ. პროგრამის ბიუჯეტი: 2842,6 ათასი ლარი.

ა.გ. პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამა გულისხმობს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სახანძრო სამსახურის შენობის რეაბილიტაციასა და კომუნალური პირობების გაუმჯობესებას. არსებული რესურსებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით სახანძრო და მაღალი გამავლობის ავტომობილის შეძენას, რაც აუცილებელია მაშველების ოპერატიული მოქმედებისათვის. გარდა ამისა, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ ზამთრის სეზონთან დაკავშირებული სამუშაოების ქვეპროგრამის ფარგლებში, განხორციელდება გზების ტექნიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლიანობისას – ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება.

ა.დ. პროგრამის ხარჯთაღრიცხვა: საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ადმინისტრაციული ხარჯები შეადგენს 2747,7 ათას ლარს. ზამთრის სეზონთან დაკავშირებული სამუშაოები დაფინანსდება 94,9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: 90–100 ტ. ტექნიკური მარლის შეძენა – 41,5 ათასი ლარი; 250–300მ³ ქვალორლის ღირებულება – 16,4 ათასი ლარი; 10 ტ. საწვავის ღირებულება – 22,0 ათასი ლარი; სპეციალური მარლისაყრელი დანადგარის ღირებულება – 15,0 ათასი ლარი.

ა.ე. მოსალოდნელი საბოლოო შედეგები: საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში ოპერატიული და კვალიფიციური რეაგირება; მოსახლეობის უსაფრთხოება; ზამთრის სეზონთან დაკავშირებული პრობლემების დროული აღმოფხვრა.

ა.ვ. შედეგების შეფასების ინდიკატორები: ოპერატიული მოქმედების ხარისხი; ზამთრის სეზონში თოვლისგან გაწმენდილი გზები; მოსახლეობის კმაყოფილების დონე.

2. ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 00)



ქალაქის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, ამიტომ აღნიშნული მიმართულება ქალაქის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, ქალაქის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის გარდა, განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა. საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 01)

ა.ა. პროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

ა.ბ. პროგრამის ბიუჯეტი: 3271,7 ათასი ლარი.

ა.გ. პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და ახალი გზების რეაბილიტაცია. საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით დამონტაჟდება ახალი საგზაო ნიშნები, ასევე, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არსებული მარეგულირებელი საგზაო ნიშნების ექსპლუატაცია.

ა.დ. მოსალოდნელი საბოლოო ოშედეგი: მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

ა.ე. შედეგების შეფასების ინდიკატორები: საგზაო შემთხვევების შემცირებული რაოდენობა; რეაბილიტირებული გზების, მათ შორის ისტორიულ და ტურისტულ ობიექტებთან მისასვლელი გზების რაოდენობის განმსაზღვრელი მაჩვენებელი; გადაადგილების დროისა და სატრანსპორტო ხარჯების შემცირებული მაჩვენებელი; მაღალი სტანდარტების შესაბამისი საავტომობილო გზების მახასიათებლები; მოსახლეობის კმაყოფილების დონე.

ბ. გზებისა და ხიდების რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01 01)

ბ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური

ბ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 3196,7 ათასი ლარი.

ბ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება; ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და ქალაქის გზების სავალი ნაწილის, ტროტუარებისა და მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწესრიგება.

ბ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: გზის საფარის მიმდინარე (ორმოული) შეკეთება ქალაქის სხვადასხვა უბანში – 450,0 ათასი ლარი (მათ შორის: 50,0 ათასი ლარი ფილებისა და ქვის ძელაკების შეკეთება); გზის საფარის კაპიტალურად შეკეთება – 2746,7 ათასი ლარი. მათ შორის კაპიტალურად შეკეთდება: სასაფლაოსთან მისასვლელი და შიგა გზები, მარჯანიშვილის ქუჩა, დები იშხნელების ქუჩა; ტ. ტაბიძის ქუჩა; წმ. ლუკას ქუჩა; ნაზარიშვილის ქუჩა; ჩიქოვანის ქუჩა; კაკაბაძის ქუჩა; ლორთქიფანიძის ქუჩა; თაყაიშვილის ქუჩა; კეკელიძის ქუჩა; გაფრინდაშვილის ქუჩა; შარტავას ქუჩა /საავიაციო ქარხნის წინ; ასათიანის ქუჩის №119; ინგოროყვას ქუჩა; განათლების ქუჩა მე-5 შესახვევით; ტყიბულის ქუჩა; ბაზაძის ქუჩა; წერეთლის ქუჩის მე-2 მონაკვეთი; დეპოს ქუჩა; პანსიონატთან მისასვლელი გზა; რუას ქუჩა; ასლანიკაშვილის ქუჩა; პეტრე იბერის ქუჩა; ჩანჩიბაძის ქუჩა; ანტონ კათალიკოსის ქუჩა; წყალტუბოს ქუჩა; ვაჟა-ფშაველას ქუჩის მე-6 შესახვევი; სარაჯიშვილის ქუჩა სტურუას ქუჩამდე; უზნაძის ქუჩა; ნიზამის ქუჩა; აული გულაევ – ნიჟარაძის ქუჩა; სააკაძის ქუჩა; ბელინსკის ქუჩის I და III შესახვევები; თამარ მეფის ქუჩის ბოლო მონაკვეთი; გუმათის დასახლების გზის მონაკვეთი.

გ. საგზაო ნიშნების დამონტაჟების, მაგისტრალების მონიშვნითი სამუშაოებისა და ფირნიშების დამზადება-გაკვრის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 01 02)

გ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

გ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 75,0 ათასი ლარი.

გ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს ქალაქში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესება. ქვეპროგრამის ფარგლებში საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით დამონტაჟდება ახალი საგზაო ნიშნები, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების დონეს ქალაქის მასშტაბით. განხორციელდება ქუჩების სახელწოდებებისა და ნუმერაციების აღმნიშვნელი აზრების მონტაჟი.

გ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: ახალი საგზაო ნიშნების დამონტაჟება და მონიშვნითი სამუშაოები – 47,0 ათასი ლარი; ქუჩის სახელწოდებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი ძველი აზრების შეცვლა ახალი აზრებით – 28,0 ათასი ლარი.

დ. კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

და.ა. პროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური; ქალაქ ქუთაისის მერიის დასუფთავების სამსახური; ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.

და.ბ. პროგრამის ბიუჯეტი: 11118,2 ათასი ლარი.

და.გ. პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, გარეგანათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის ექსპლუატაცია. უზრუნველყოფილი იქნება ქალაქის დასუფთავება და პროფილაქტიკურ – სადუხინფექციო სამუშაოების ჩატარება. მაწანწალა ცხოველებისა და ქვეწარმავლებისაგან მოსახლეობის დასაცავად განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები.



დ.დ. მოსახლეობის საბოლოო შედეგები: საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება; რეაბილიტირებული საცხოვრებელი კორპუსები; განათებული ქალაქი; მოსახლეობის გაუმჯობესებული სანიტარული პირობები.

დ.ე. შედეგების შეფასების ინდიკატორები: საცხოვრებელი კორპუსებისა და მათი ეზოების მდგომარეობა; ქუჩების განათების პროცენტული მაჩვენებელი; ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხო გადაადგილება დღე-ღამის ნებისმიერ დროს; საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გათავისუფლებული ქალაქი; ქალაქის დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის ინტენსიურობის მაჩვენებელი.

ე. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 01)

ე.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მერიის დასუფთავების სამსახური

ე.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 3141,9 ათასი ლარი.

ე.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ძირითადი მიზანია ქალაქის სანიტარული მდგომარეობის მაღალი დონის უზრუნველყოფა, შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის 87 ქუჩის დაგვა-დასუფთავება, საერთო ფართობი 2353,81 ათასი კვ.მ. ნარჩენების გატანა-გაუვნებელყოფა, მორწყვა-ჩარეცხვის სამუშაოების ორგანიზება ქალაქის 207 ათასი კვ.მ ფართობზე, ქალაქში მოხეტიალე ცხოველებისაგან სხვადასხვა ვირუსული დაავადებისა და ცოფის გავრცელების მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით ღონისძიებების გატარება, რისთვისაც, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე მოხეტიალე ან/და მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე გაშვებული პირუტყვის (წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვი, ძაღლი) იზოლაცია და მათი სპეციალურ სადგომზე გადაყვანა, მაღალსართულიან საცხოვრებელ ბინებში არსებული ნაგვის შემკრები ბუნკერების, ქუჩებსა და მაგისტრალზე განთავსებული ნაგვის მოძრავი კონტეინერების დერატიზაცია-დეზინფექცია, დროებითი გამოუყენებელი შენობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების დერატიზაცია-დეზინფექცია, ქალაქში გამავალი არხების, დიდი და მცირე მდინარეების სანაპიროების დერატიზაცია-დეზინფექცია. მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ქვეწარმავლების დასაფრთხობად, აუცილებელი ტერიტორიული ერთეულების ქიმიური რეპელენტი და მუშავება ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში. ქალაქში სანიტარული წესრიგის გაუმჯობესებისა და მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით, ნაგავსაყრელის მომზადება საკონსერვაციო სამუშაოების ჩასატარებლად, შესაბამისი ტექნიკით აღჭურვა და სამუშაოების წარმოება.

ე.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: ქალაქის დაგვა-დასუფთავება, ქუჩებისა და მოედნების მორწყვა-ჩარეცხვა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა – 2 820,0 ათასი ლარი; საყოფაცხოვრებო ნარჩენების გაუვნებელყოფა – 198,0 ათასი ლარი; თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე მოხეტიალე ან/და მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე გაშვებული პირუტყვის (წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვი, ძაღლი) იზოლაცია და პირუტყვის სპეციალურ სადგომზე გადაყვანა – 60,0 ათასი ლარი; ქალაქ ქუთაისში პროფილაქტიკურ-სადეზინფექციო ღონისძიებების განხორციელება – 30,0 ათასი ლარი; ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ქვეწარმავლების დასაფრთხობად აუცილებელი ტერიტორიული ერთეულების ქიმიური რეპელენტით დამუშავება – 3,0 ათასი ლარი. ნაგავსაყრელის მომზადება საკონსერვაციო სამუშაოების ჩასატარებლად – 30,9 ათასი ლარი.

ვ. საკანალიზაციო სისტემების, ღვარსადენების, წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

ვ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური

ვ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 2052,4 ათასი ლარი.

ვ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ქალაქის სხვადასხვა უბნებში გაიწმინდება კანალიზაციის ამორტიზირებული ქსელი, საჭიროების შემთხვევაში მოხდება მონაკვეთის ახალი მილებით შეცვლა. წყალმომარაგების სისტემაში გატარდება ღონისძიებები ხარვეზების აღმოფხვრისათვის; არსებული წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელზე ჩატარდება მცირემასშტაბიანი სარეაბილიტაციო ღონისძიებები. სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირებისათვის გაიწმინდება ზედმეტი ნატანისაგან დალექილი არხები და ბუნებრივი სასულები, შეკეთდება ნიაღვარმიმღები ჭები, რეაბილიტირებული იქნება ნიაღვარმიმღები ობიექტები და ექსპლუატაცია გაეწევა არსებულ ნიაღვარსადენ ობიექტებს.

ვ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: ღვარსადენების ქსელის (120 ობიექტი) ექსპლუატაციის ხარჯები – 225,0 ათასი ლარი; ბუნებრივი სასურავების (13 ობიექტი) ექსპლუატაცია – 25,0 ათასი ლარი; კანალიზაციის ქსელების მოწყობის ხარჯები – 260,7 ათასი ლარი, მათ შორის: ვაჟა-ფშაველას ქუჩის მე-4 შესახვევის დარჩენილი ნაწილის საკანალიზაციო ქსელის მოწყობა; ისიანის ქუჩის დარჩენილი ნაწილის საკანალიზაციო ქსელის მოწყობა; კლიაშვილის ქუჩის პირველი ჩიხის საკანალიზაციო ქსელის მოწყობა; წერეთლის ქუჩის მე-4 შესახვევის საკანალიზაციო ქსელის მოწყობა; ძნელადის ქუჩაზე არსებული საკანალიზაციო ქსელის მოწყობა; ირ.აბაშიძის ქუჩის №8-სთან არსებული საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია. წყალმომარაგების ქსელის მოწყობა ბერი-თევდორეს ქუჩაზე და წყალმომარაგების მოწყობა ზოგიერთ ობიექტზე – 109,9 ათასი ლარი; ღვარსადენის ქსელის მოწყობა – 1431,8 ათასი ლარი, მათ შორის: ხარებავას ქუჩის დასახლებაში ახალი ღვარსადენი ქსელების მოწყობა; თაბუკაშვილის ქუჩაზე ახალი ღვარსადენი ქსელების მოწყობა; სულხან-საბას ქუჩაზე ახალი ღვარსადენი ქსელების მოწყობა; შარტავას ქუჩაზე ახალი ღვარსადენი ქსელების მოწყობა.

ზ. პროგრამა „კორპუსი“ (პროგრამული კოდი 03 02 03)

ზ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური; ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

ზ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 2573,9 ათასი ლარი.

ზ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავებისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია, ახალი ლიფტების მონტაჟი და საჭიროების შემთხვევაში, არსებულის რეაბილიტაცია, კორპუსების ფასადების გაუმჯობესება და ეზოების კეთილმოწყობა. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება, სამოქალაქო პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და მათ განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ჩართულობის უზრუნველყოფა. პროგრამა „კორპუსის“ ეფექტურად განხორციელებისათვის მიზანშეწონილია



საზნაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურში აყვანილ იქნეს კოორდინატორის 125 ერთეული, რომლებსაც სამსახურის უფროსის წარდგინებით, პროგრამის მოქმედების ვადით, ხელშეკრულების საფუძველზე, კანონით დადგენილი წესით, ნიშნავს ქალაქის მერი.

ზ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: 556,1 ათასი ლარი – ლიფტების აღდგენა–რეაბილიტაციისათვის, თანადაფინანსებით 90%-10%-ზე (90% მერია, 10% ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა); 100,0 ათასი ლარის გადასახური მასალა ბიკროსტი მინაქსოვილზე ნაფხვენით, მოთუთიებული გოფირებული და მოთუთიებული ფურცლოვანი თუნუქის შექმნა და გადაცემა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის; 1046,6 ათასი ლარი – საცხოვრებელი სახლების ეზოებში ბეტონის საფარის მოწყობა (ხუთსართულიან საცხოვრებელ სახლებზე მაღალი სახლებისათვის თანადაფინანსებით 80%-20%-ზე, 80% მერია, 20% ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა; ხუთსართულიანი და დაბალი საცხოვრებელი სახლებისათვის 90%-10%-ზე, 90% მერია, 10% ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა); 125,8 ათასი ლარი – საცხოვრებელი სახლების სარდაფებში დაზიანებული წყალ-კანალიზაციის კომუნიკაციების აღდგენა თანადაფინანსებით 90%-10%-ზე (90% მერია, 10% ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა); 100,0 ათასი ლარი – საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების კეთილმოწყობა თანადაფინანსებით 80%-20%-ზე (80% მერია, 20% ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა); 41,1 ათასი ლარი – ქალაქ ქუთაისში ცენტრალური გზებიდან მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებამდე მისასვლელი გზების კეთილმოწყობისათვის. 40,0 ათასი ლარი – საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო სამუშაოებისათვის; 94,9 ათასი ლარი – ნაგავშემკრები ე.წ. „ბუნკერების“ გასაუქმებლად და გალვანიზირებული ფოლადის ფურცლისაგან დამზადებული მოძრავი სანაგვე კონტეინერების შესაძენად; 4,0 ათასი ლარი – საწვავის შესაძენად. 300,0 ათასი ლარი – ხელფასის მთლიანი ხარჯი; ჭავჭავაძის გამზირზე არსებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და ტროტუარების რეაბილიტაცია – 165,4 ათასი ლარი.

თ. გარეგანათების, შუქნიშნებისა და ვიდეოკონტროლის რეაბილიტაცია – ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

თ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

თ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 3350,0 ათასი ლარი.

თ. გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქალაქის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარეგანათების არსებული ქსელის, შუქნიშნებისა და ვიდეოკონტროლის აპარატების ექსპლუატაცია, ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე მოეწყობა ახალი სანათი წერტილები, შუქნიშნები.

თ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: 1598,0 ათასი ლარის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის (კერძოდ, ექსპლუატაცია გაეწევა 13000 სანათი წერტილის ქალაქის 670 ქუჩაზე), შუქნიშნებისა და დამონტაჟებული ვიდეოკონტროლის აპარატების ექსპლუატაცია; 1700,0 ათასი ლარის ოდენობით დაფინანსდება ელექტრო ენერჯის ხარჯი. 52,0 ათასი ლარის ფარგლებში განხორციელდება კაპიტალური სამუშაოები, კერძოდ, მოეწყობა ახალი სანათი წერტილები, შუქნიშნები და ვიდეოკონტროლის აპარატები.

ი. ქალაქის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

ი.ა. პროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური; ქალაქ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახური; ქალაქ ქუთაისის მერიის ეკონომიკური სამსახური.

ი.ბ. პროგრამის ბიუჯეტი: 3249,4 ათასი ლარი.

ი.გ. პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნების მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

ი.დ. მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: ქალაქის იერსახის გალამაზება და მოსახლეობისათვის სასიამოვნო გარემოს შექმნა; მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;

ი.ე. შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურული ობიექტები; ქალაქის გაუმჯობესებული იერსახე; მოსახლეობის კმაყოფილების დონე.

კ. შადრევნების ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 03 01)

კ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური

კ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 300,0 ათასი ლარი.

კ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული შადრევნების ექსპლუატაცია. ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს ქალაქის იერსახის გაუმჯობესება და მოსახლეობისათვის დასვენებაზე ორიენტირებული გარემოპირობების შექმნა. შადრევნების გამართული მუშაობისათვის საჭიროა მოწესრიგებულ იქნეს ელექტროენერჯისა და წყლის მიწოდების საკითხი.

კ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქალაქში არსებული შადრევნებისა და დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული სარწყავი სისტემის ელექტრო ენერჯის ხარჯები 150,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო დანარჩენი 150,0 ათასი ლარის ფარგლებში ექსპლუატაცია გაეწევა: ცენტრალურ ბაღში, კიკვიძის სკვერში, №1 საჯარო სკოლის წინ მდებარე ტერიტორიაზე, ცენტრალურ მოედანზე, ნიკოლაძის სახელობის სკვერსა და თამარ მეფის ქუჩაზე (ყოფილი პროკურატურის შენობის გვერდით) არსებულ შადრევნებს.

ლ. ქალაქის გამწვანების, მოვლა-პატრონობისა და სკვერების კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 02)



ლ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური

ლ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 1081,5 ათასი ლარი.

ლ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია ქალაქის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ბაღების, სკვერების, გაზონების, ფერდობების მოვლა-პატრონობა, ხე-მცენარეების, ბუჩქებისა და ყვავილების შეძენა, ხე-მცენარეების შეწამვლა, გასხვლა. სანაგვე ურნებისა და საბაღე სკამების აღდგენა. ქალაქში არსებულ სკვერებში განადგურებული მწვანე საფარის აღდგენა და დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, მწვანე საფარის მუდმივი განახლება; ასევე მაღალი ტანის ხეების გადაბეღვა და გამხმარი ხეების მოჭრა.

ლ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ბაღების, სკვერების, გაზონების, ფერდობების მოვლა-პატრონობის ხარჯები, ხე-მცენარეების, ბუჩქებისა და ყვავილების შეძენის ხარჯები – 300,0 ათასი ლარი. კაპიტალური სამუშაოები, კერძოდ, ნინოშვილის ბაღის კეთილმოწყობა – 580,0 ათასი ლარი; ხარაზოვის ბაღის კეთილმოწყობა – 128,5 ათასი ლარი; ხეების გადაბეღვის ხარჯები – 73,0 ათასი ლარი.

მ. პანთეონის ტერიტორიის კეთილმოწყობა და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03 03)

მ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

მ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 25,0 ათასი ლარი.

მ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების პატივგების მიზნით განხორციელდება პანთეონის ტერიტორიაზე დაკრძალული საზოგადო მოღვაწეების საფლავების მოვლა – პატრონობა.

მ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: პანთეონის ტერიტორიაზე დაკრძალული საზოგადო მოღვაწეების საფლავების, ქვების, წარწერებისა და ქანდაკებების შეკეთების, მწვანე საფარის მოწესრიგებისა და ახალი ადგილების მომზადების ხარჯი – 25,0 ათასი ლარი.

ნ. საახალწლოდ ქალაქის გაფორმების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 04)

ნ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური

ნ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 385,5 ათასი ლარი.

ნ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქალაქის მოსახლეობისათვის საახალწლო, სადღესასწაულო განწყობილების შექმნის მიზნით განხორციელდება საახალწლოდ ქალაქის გარე იერსახის მოწყობის სამუშაოები, კერძოდ, საახალწლოდ ქალაქის ცენტრალური ქუჩების, ბაღებისა და სკვერების მორთვა სხვადასხვა მანათობლებითა და ციმციმებით.

ნ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: ქალაქის საახალწლო აქსესუარების დემონტაჟი, შენახვა-დასაწყობება და განმეორებითი მონტაჟის ხარჯები – 385,5 ათასი ლარი.

ო. ქალაქში საყრდენი და დამცავი კედლების მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 03 05)

ო.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური

ო.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 103,2 ათასი ლარი.

ო.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: დანგრეული, მწყობრიდან გამოსული ქუჩისპირა საყრდენი კედლების აღდგენა პირვანდელი სახით, იგივე ზომებში, თანამედროვე საშენებლო მასალების გამოყენებით.

ო.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: ქუჩების დამცავი კედლების შეკეთებისა და კაპიტალური მშენებლობის სამუშაოების ჩატარების ხარჯები – 103,2 ათასი ლარი, მათ შორის: რუას ქუჩის №12 სახლის ეზოს გასწვრივ არსებული კედლის გამაგრება და ღვარსადენის აღდგენა; სოლომონ II-ის ქუჩის №37 სახლის გასწვრივ არსებული კედლის გამაგრება და ღვარსადენის აღდგენა; გელათის ქუჩის №116 სახლის წინ დანგრეული საყრდენი კედლის ადგილზე ახალი კედლის აშენება; რიონჰესის ქუჩის №10 სახლთან გადამტვრეული კედლის დანგრევა და ახალი კედლის აშენება; კიბულას ქუჩის №20 სახლთან გზის სავალი ნაწილის დასაჭერად საყრდენი კედლის მშენებლობა; ვაჟა-ფშაველას ქუჩის №33 სახლთან ქუჩის სავალი ნაწილისა და ეზოს დამცავი საყრდენი კედლის აღდგენა; კოსტავასა და 26 მაისის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული დაზიანებული კედლის დანგრევა და ახლის აშენება; მანდარიას ქუჩის №19 სახლთან სავალი ნაწილის მიწის ვაკის ფერდის დამცავი საყრდენი კედლის აღდგენა; კოსტავასა და ბურჯანაძის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული დაზიანებული კედლის დანგრევა და ახალი კედლის აშენება; კიბულას ქუჩის №13 სახლთან გზის სავალი ნაწილის დამცავი საყრდენი კედლის აღდგენა.

პ. მცირე ბიზნესის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 03 06)

პ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მერიის ეკონომიკური სამსახური.

პ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 136,2 ათასი ლარი.

პ. გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება ქალაქში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ხელშეწყობა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის განვითარება; მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირება და დახმარება, ქალაქის გრძელვადიანი განვითარების პრომოტიული მიმართულებებისა და შესაბამისი ღონისძიებების განსაზღვრა. ქალაქ ქუთაისის სტრატეგიული განვითარების გეგმის შედგენა. ქალაქის სტრატეგიული განვითარების პროგრამა იქნება საშუალოვადიანი სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ქალაქის განვითარების პოლიტიკის ძირითად პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და იქნება შემადგენელი იმ პირობების, რომლებიც უზრუნველყოფს ქალაქის მდგრად განვითარებას.



პ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა:

პ.დ.ა. უცხოური ინვესტიციების, ბიზნესის ხელშეწყობისა და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ხარჯები:

№	ღონისძიებების დასახელება	ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო ხარჯი (ათასი ლარი)
1.	საგამოფენო სტენდების, ჯიხურებისა და ინვენტარის შექმნა – დამზადება (დახლები, სკამები, ფანჯატურები, დიდი ქოლგები, ელ. ენერჯის უზრუნველყოფისათვის საჭირო მოწყობილობები)	25,0
2.	ქუთაისის საინვესტიციო გარემოსა და ეკონომიკური სიტუაციის ამსახველი ბროშურების ბეჭდვა	7,2
3.	მივლინება ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ გამოფენებზე, მცირე და საშუალო მეწარმეების პროდუქციის შესაძლებლობების დემონსტრირებისათვის (მგზავრობა, დღიური ანაზღაურება, სასტუმრო)	8,0
4.	მცირე და საშუალო ბიზნესის, სოციალურ საწარმოთა სტიმულირება და დახმარება სხვა არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებთან ერთად (თანადაფინანსება ფინანსური ან კაპიტალის სახით)	50,0
5.	ადგილობრივი სამრეწველო პროდუქციის გამოფენა-გაყიდვისა და ფესტივალების მოწყობა (ბიზნეს ფორუმი, 2 მაისობა, თაფლის ფესტივალი, ხაჭაპურის ფესტივალი, ღვინის ფესტივალი, ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა, საშობაო-საახალწლო ბაზრობის მოწყობა)	19,0
სულ ხარჯები		109,2

პ.დ.ბ. ქალაქ ქუთაისის სტრატეგიული განვითარების გეგმისათვის საჭირო ხარჯები:

№	ღონისძიებების დასახელება	ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო ხარჯი (ათასი ლარი)
1.	მივლინება სტრატეგიული განვითარების საბჭოს მუშაობისათვის, საბჭოს წევრებისა და სხვა დამხმარე ექსპერტებისათვის (სტუმრად მოწვეული ინვესტორების, სტუმრების დახვედრა-ტრანსპორტირება)	6,0
2.	საინფორმაციო მასალის დამზადება, კერძოდ, ბუკლეტების, როფლეტების, ბროშურების, ფლაერების დამზადება; ქალაქის სტრატეგიული განვითარების გეგმის ნაწილი ინფორმაციის დაბეჭდვა (ურბანული დაგეგმარება, ქალაქის პასპორტი)	8,0
3.	სხვადასხვა სახის რუკებისა და საინფორმაციო მასალების დამზადება (ქალაქის სადემონსტრაციო რუკების, ქალაქის რუკებისა და იმერეთის რუკების დამზადება)	13,0
სულ ხარჯები		27,0

ქ. თვითმმართველობის ქონების რეგისტრაციის, დაცვისა და ბალანსზე აყვანის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 07)



ჟ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახური.

ჟ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 110,0 ათასი ლარი

ჟ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონებისა და წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოთა დაცვის განხორციელება; ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების ზუსტი აღრიცხვა და ბალანსზე აყვანა; ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში დარეგისტრირებული შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი და საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება, აგრეთვე ქვეპროგრამა ითვალისწინებს ექსპერტიზის ჩატარების ორგანიზებას, საექსპერტო კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის ან აქტის შესაბამისი სამუშაოების განხორციელებას.

ჟ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების დაცვა – 20,0 ათასი ლარი; თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების ბალანსზე აყვანა – 20,0 ათასი ლარი; შენობა-ნაგებობების თვითმმართველობის საკუთრებაში რეგისტრაცია – 20,0 ათასი ლარი; თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების საექსპერტო მომსახურების ჩატარება და საპრივატიზებო საფასურის/სარგებლობის ქირის განსაზღვრა – 50,0 ათასი ლარი.

რ. ცენტრალური მოედნის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 09)

რ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური

რ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 343,0 ათასი ლარი.

რ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ქვაფენილის დაგება, შადრევნის დამონტაჟება.

რ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ქვაფენილის დაგებისა და შადრევნის მექანიზმების დამონტაჟების ხარჯები – 343,0 ათასი ლარი.

ს. უნებართვო ავტოფარეხებისა და უსახური შენობა-ნაგებობების დემონტაჟი (პროგრამული კოდი 03 03 11)

ს.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახური

ს.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 15,0 ათასი ლარი.

ს.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება უკანონო და უსახური კონსტრუქციების დემონტაჟი, რის შედეგადაც უკანონო შეზღუდვებისაგან გამოთავისუფლება საზოგადოებრივი სარგებლობების სივრცეები, შენარჩუნდება და მოწესრიგდება ქალაქის იერსახე.

ს.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებული უნებართვო და უსახური შენობა-ნაგებობების დემონტაჟი – 15,0 ათასი ლარი.

ტ. გაუთვალისწინებელი კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 12)

ტ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური

ტ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 30,0 ათასი ლარი.

ტ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესრულებას ქალაქის მასშტაბით, ავტოსაგზაო შემთხვევების დროს დაზიანებული ხიდების, საცხოვრებელი სახლების ავარიულად დანგრევის, მაღალი ტანის ხეების წაქცევით და მის მიერ მიყენებული დაზიანებების, სანაპირო საყრდენი და ქუჩისპირას სტიქიურად გადმონგრეული საყრდენი კედლების, მეწყერის, წყალსადენის, გაზისა და კანალიზაციის ქსელების ოპერატიულად აღდგენას და სხვა.

ტ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: გაუთვალისწინებელი სამუშაოების ხარჯები – 30,0 ათასი ლარი.

უ. ქალაქ ქუთაისის მერიის ტერიტორიული ორგანოების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 03 13)

უ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მერიის ტერიტორიული ორგანოები

უ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 720,0 ათასი ლარი.

უ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია ქუთაისის განვითარება მისი ტერიტორიული ორგანოების ხელშეწყობის გზით. ქვეპროგრამაში არსებულ თანხას, ყოველთვიურად 5,0 ათასი ლარის ლიმიტით, განკარგავს ქალაქ ქუთაისის მერია შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს წინადადების საფუძველზე, ამასთან წინადადების ავტორი ტერიტორიული ორგანოს მასშტაბით შესაძლებელია დაფინანსდეს: ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დაზიანებული ხიდების, საცხოვრებელი სახლების ავარიული დანგრევის, მაღალი ტანის ხეების წაქცევით და მის მიერ მიყენებული დაზიანებების, მეწყერის, წყალსადენის, გაზისა და კანალიზაციის ქსელების ოპერატიულად აღდგენის, გზების ღორღით მოსწორების და სკვერების მცირე მასშტაბის კეთილმოწყობითი სამუშაოების ჩატარების, ამხანაგობათა მესაკუთრეობის წახალისებისა და კანონით ნებადართული სხვა მოქმედებები.

უ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: ქალაქ ქუთაისის მერიის ტერიტორიული ერთეულების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ხარჯი – 720,0 ათასი ლარი.



ფ. ტურიზმის განვითარების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 04)

ფ.ა. პროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მერიის ეკონომიკური სამსახური

ფ.ბ. პროგრამის ბიუჯეტი: 37,4 ათასი ლარი.

ფ.გ. პროგრამის აღწერა და მიზანი: ქალაქში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ადგილობრივ და საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ქუთაისის ტურისტული პოტენციალის გატანა და პრომოუშენი.

ფ.დ. პროგრამის ხარჯთაღრიცხვა:

№	ღონისძიებების დასახელება	ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო ხარჯი (ათასი ლარი)
1.	ქუთაისის საინფორმაციო ცენტრის დაფინანსების უზრუნველყოფა, საინფორმაციო ცენტრის ორი თანამშრომლის სახელფასო განაკვეთი	10,8
2.	საინფორმაციო ცენტრის კომუნალური და კეთილმოწყობის ხარჯები (ტელეფონი, ელ. ენერჯია, დასუფთავება, წყალი, ოფისის კაპიტალური შეკეთება)	3,0
3.	საერთაშორისო გამოფენებში სტენდის იჯარის ხარჯები: თელ-ავივი, პოზნანი, ხარკოვი, კიევი, თბილისი, ბათუმი, ბერლინი, ლონდონი, ჰელსინკი	6,0
4.	საგამოფენო ტურისტული მასალების, ბროშურების, პროსპექტების, ქუთაისისა და იმერეთის გზამკვლევი რუკების, სასაჩუქრე პარკების, ტურისტული პროდუქტის ციფრული ვერსიების შექმნა (დისკებზე დაბეჭდილი, სურათები, ვიდეოები)	8,6
5.	სამივლინებო ხარჯები ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ (ბილეთი, ვიზა, დღიური ანაზღაურება, სასტუმრო)	9,0
	სულ ხარჯები:	37,4

ფ.ე. მოსალოდნელი შუალედური შედეგი: ქუთაისისათვის საერთაშორისო ტურისტული ბაზრის მოპოვების ხელშეწყობა; ქალაქში ტურიზმის განვითარებით ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა.

ფ.ვ. შეფასების ინდიკატორები: ქართველი და უცხოური ტურისტების ნაკადების რიცხვი; ტურისტული პოტენციალით დაინტერესების ზრდის მაჩვენებელი; ტურისტულ ბაზარზე ქალაქის ცნობადობის დონის მაჩვენებელი.

ქ. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 05)

ქ.ა. პროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

ქ.ბ. პროგრამის ბიუჯეტი: 183,4 ათასი ლარი.

ქ.გ. პროგრამის აღწერა და მიზანი: აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება ქალაქში არსებული შესაკეთებელი ობიექტების აღრიცხვა-დაპროექტება, პროგრამით გათვალისწინებული საპროექტო ობიექტების ტექნიკური ნახაზებისა და ხარჯთაღრიცხვების ხარისხიანი და განსაზღვრულ დროში წარმოდგენა. შესაბამისი სამსახურიდან საპროექტო დავალებებისა და საპროექტო სიმძლავრეების მიწოდების უზრუნველყოფა; საპროექტო ორგანიზაციის მიერ ტექნიკური ნახაზებისა და ხარჯთაღრიცხვების შესრულება.

ქ.დ. პროგრამის ხარჯთაღრიცხვა: ქალაქში არსებული შესაკეთებელი ობიექტების აღრიცხვა-დაპროექტების (მათ შორის: შენობები, ქუჩები, გარეგანათება, ბაღები, სკვერები, შადრევნები, ფასადები, სახურავები და გარე კეთილმოწყობის სხვადასხვა ობიექტები) ხარჯები – 166,0 ათასი ლარი.

ქალაქ ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის დაპროექტების, მშენებლობის, ექსპერტიზისა და სხვა გადაუდებელი სამუშაოების, აგრეთვე, საქართველოს მთავრობის შენობის დაპროექტებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსებისათვის (წინა წლებში გამოყოფილი თანხებიდან) – 17,4 ათასი ლარი.

ქ.ე. მოსალოდნელი შუალედური შედეგი: კარგი სატენდერო პირობები; შესრულებული და წარმოდგენილი სახარჯთაღრიცხვო პროექტები.

ქ.ვ. შეფასების ინდიკატორი: ექსპერტთა შეფასება.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)



მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად ქალაქის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წელს განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

ა. სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

ა.ა. პროგრამის განმახორციელებელი: ააიპ ბაგა-ბაღების გაერთიანება; მერიის კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.

ა.ბ. პროგრამის ბიუჯეტი: 7235,0 ათასი ლარი.

ა.გ. პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისის საბავშვო ბაგა-ბაღების (ფილიალები) საქმიანობის ორგანიზება, კოორდინაცია და მათი საქმიანობისათვის ხელშეწყობა. ქალაქში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 35 ბაგა-ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 8811- მდე ბავშვი. 2013 წლის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა (გარდა მშობელთა შემონატანებისა) ხარჯი, მათ შორის არსებული ბაღების რეაბილიტაციის ხარჯები. აგრეთვე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება განათლების ღონისძიებების დაფინანსება.

ა.დ. მოსალოდნელი საბოლოო შედეგები: ქალაქ ქუთაისში საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის მონაწილეთა მოტივაციის ამაღლება; ბავშვების ფიზიკური და სულიერი აღზრდა შემდგომში მათი სწორი განვითარების მიზნით; აღსაზრდელთა და მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონის ამაღლება.

ა.ე. შედეგების შეფასების ინდიკატორები: აღსაზრდელთა, მოზარდთა და მასწავლებელთა დაინტერესების ზრდა, მათი შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონის ამაღლება; სათანადოდ აღჭურვილი ბაგა-ბაღები. საზოგადოებისა და კვალიფიცირებული ექსპერტების მიერ დადებითად შეფასებული განხორციელებული პროექტები.

ბ. ააიპ ბაგა-ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)

ბ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ააიპ ბაგა-ბაღების გაერთიანება

ბ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 7150,0 ათასი ლარი

ბ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისის საბავშვო ბაგა-ბაღების (ფილიალები) საქმიანობის ორგანიზება, კოორდინაცია და მათი საქმიანობისათვის ხელშეწყობა. ფილიალებს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა; ფილიალებში რაციონალური და ჯანსაღი კვების უზრუნველყოფა; სავალდებულო მედიკამენტებითა და პირველადი დახმარების საშუალებებით, აგრეთვე სხვა აუცილებელი საგნებით უზრუნველყოფა. საჭიროების შემთხვევაში ფილიალებში განხორციელდება კაპიტალური სამუშაოები.

გ. განათლების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 02)

გ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: მერიის კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.

გ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 85,0 ათასი ლარი

გ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა გულისხმობს ქალაქ ქუთაისში საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის მონაწილეთა მოტივაციის ამაღლებას; სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კოორდინირებულ თანამშრომლობას; აღსაზრდელთა და მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონის ამაღლებას.

გ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა:

№	ღონისძიების დასახელება	ჩატარების დრო	თანხა (ათას ლარებში)
1.	დედის დღისადმი მიძღვნილი საქალაქო კონცერტი ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა მონაწილეობით	მარტი	5,0
2.	საჯარო სკოლების მოსწავლეთა თეატრალური ფესტივალი (სპექტაკლების ჩვენება და გამარჯვებულების დაჯილდოება ნომინაციების მიხედვით)	წლის განმავლობაში	15,0
3.	ცისფერყანწელთა სახელობის მოსწავლეთა ეროვნული ლიტერატურული კონკურსი (რესპუბლიკური ლიტერატურული კონკურსი საჯარო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით)	მაისი	3,0
4.	ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საქალაქო სპორტული ღონისძიება (მხიარული სტარტები სკოლამდელი	1 ივნისი	5,0



	დაწესებულებების აღსაზრდელოთა მონაწილეობით)		
5.	მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით პედაგოგთა დაჯილდოება (ღვაწლმოსილი და წარმატებული პედაგოგების დაჯილდოება)	5 ოქტომბერი	15,0
6.	ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების დასკვნით ტურსა და საერთაშორისო ოლიმპიადებში გამარჯვებულ მოსწავლეთა და მათი პედაგოგების დაჯილდოება	ნოემბერი	15,0
7.	ბაგა-ბაღების აღსაზრდელოთა შემოქმედების დათვალიერება –ფესტივალი (ბაგა-ბაღების აღსაზრდელების მიერ თეატრალიზირებული და საკონცერტო ნომრების ჩვენება ცოცხალი შესრულებით, სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება)	ნოემბერი	10,0
8.	გაუთვალისწინებელი ღონისძიებების ხარჯები	იანვარი-დეკემბერი	10,0
9.	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	იანვარი-დეკემბერი	7,0
	სულ		85,0

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

ქალაქის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

ა. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

ა.ა. პროგრამის ბიუჯეტი: 4440,0 ათასი ლარი

ა.ბ. პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

ა.გ. მოსალოდნელი შედეგი: სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები; მოსახლეობაში დანერგილი ცხოვრების ჯანსაღი წესი; ქალაქის ნაკრები გუნდების შევსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით; გარდაცვლილი გამოჩენილი ქუთაისელი მწვრთნელების სახელების უკვდავყოფა; ცნობილი ქუთაისელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების პატივგება; ქალაქში სპორტის განვითარება.

ა.დ. შეფასების ინდიკატორები: სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა რაოდენობა; სპორტულ ჯგუფებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა; ქალაქის სპორტული მიღწევების მაჩვენებელი; სპორტსმენებისა და მწვრთნელების კვალიფიკაციის დონე.

ბ. ააიპ ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 01 01)

ბ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 2985,0 ათასი ლარი

ბ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისის სასპორტო სკოლების /ფილიალები/ საქმიანობის ორგანიზება, კოორდინაცია და მათი საქმიანობისათვის ხელშეწყობა. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება; სპორტის სახეობებში ქალაქის, ეროვნული ნაკრები გუნდების კანდიდატებისა და სელექციების მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდისათვის რეზერვის მომზადება;

გ. შპს საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი 2010“ (პროგრამული კოდი 05 01 02)

გ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 350,0 ათასი ლარი

გ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა უზრუნველყოფს ქუთაისის საკალათბურთო კლუბ „ქუთაისი-2010-ის“ ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსებას. ქვეპროგრამის მიზანია ქართული კალათბურთის პოპულარიზაცია; კალათბურთის პროფესიული გუნდის განვითარება, კლუბისათვის საჭირო და პერსპექტიული სპორტსმენების მოზიდვა, სავარჯიშო და სატურნირო ინვეტარის შექმნა; საკალათბურთო შეხვედრებსა და ტურნირებში მონაწილეობის მიღება.



დ. ააიპ „ყინულის მოედანი“ (პროგრამული კოდი 05 01 03)

დ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 380,0 ათასი ლარი

დ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „ყინულის მოედნის“ ექსპლუატაციისათვის ყველა საჭირო ხარჯი. ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისში ბავშვთა და მოზარდთა ჩართვა ყინულზე ფიგურულ სრიალში და სპორტის ამ სახეობის განვითარება, სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცესების ორგანიზება; ამ სახეობის პოპულარიზაცია და კვალიფიციური სწავლების უზრუნველყოფა; ნიჭიერი ახალგაზრდების გამოსავლენად სხვადასხვა კატეგორიის შეჯიბრებების ჩატარება.

ე. ოლიმპიური კომიტეტი (პროგრამული კოდი 05 01 04)

ე.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 10,0 ათასი ლარი

ე.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში იგეგმება ოლიმპიური მოძრაობის განვითარება სხვადასხვა ოლიმპიური ღონისძიებების ორგანიზებით. მოსახლეობის ფართო ფენის ოლიმპიურ მოძრაობაში ჩართვა, ოლიმპიზმის იდეების დამკვიდრება-განვითარება.

ვ. სარაგბო კლუბი „აია“ (პროგრამული კოდი 05 01 05)

ვ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 60,0 ათასი ლარი

ვ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება ქუთაისის რაგბის გუნდის დაფინანსება, კერძოდ სახელფასო ვალდებულებები, სამივლინებო ხარჯები, უნიფორმის შეძენისა და ჩემპიონატში მონაწილეობისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

ზ. ქუთაისის ხელბურთის გუნდი (პროგრამული კოდი 05 01 06)

ზ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 50,0 ათასი ლარი

ზ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქუთაისის ხელბურთელთა გუნდების ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისათვის სრულფასოვანი მომზადების ხარჯები.

თ. სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 06)

თ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 605,0 ათასი ლარი

თ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის მიზანია ქალაქში სპორტის განვითარება და სპორტსმენების კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა. წლის განმავლობაში დაგეგმილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ჩატარება უზრუნველყოფს პერსპექტიული სპორტსმენების აღმოჩენას, ახალგაზრდობის დაინტერესების ზრდას სპორტში, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებასა და გარდაცვლილი გამოჩენილი ქუთაისელი მწვრთნელების სახელების უკვდავყოფას.

თ.გ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა:

№	დასახელება	თარიღი	ხარჯთაღრიცხვა (ათას ლარებში)
1	სპორტული მივლინებების დაფინანსება	წლის განმავლობაში	80,0
2	კვების ხარჯების დაფინანსება	წლის განმავლობაში	50,0
3	ქალაქის ნაკრები გუნდებისათვის სპორტული ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის დაფინანსება	წლის განმავლობაში	73,2
4	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	წლის განმავლობაში	10,0
5.	არაფინანსური აქტივების დაფინანსება	წლის განმავლობაში	48,8
6.	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება მათ შორის:	წლის განმავლობაში	343,0
ა.	ქალაქ ქუთაისის ნაკრები გუნდების სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების დაფინანსება	წლის განმავლობაში	82,8



ბ.	საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებზე გამარჯვებული სპორტსმენებისა და პრიზიორების, წარმატებული მწვრთნელების, ვეტერანი სპორტსმენებისა და სპორტის დამსახურებულ მუშაკთა და მწვრთნელთა საპრემიო და ერთჯერადი დაფინანსება	წლის განმავლობაში	80,0
გ.	სპორტსმენთა საშეჯიბრო შესატანი, სასტარტო და სალიცენზიო დაფინანსება	წლის განმავლობაში	12,0
დ.	საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გ. ჩიქოვანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ფარიკაობაში	დანიშნით	12,0
ე.	ევროპის ორგზის ჩემპიონის, აკაკი კიბორძაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში	დანიშნით	5,0
ვ.	მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, თეიმურაზ აფხაზავას სახელობის ტურნირი ბ/რ ჭიდაობაში	დანიშნით	6,0
ზ.	დავით ჩირაძის მემორიალი ჭადრაკში გოგონათა და ჭაბუკთა შორის (გუნდური პირველობა)	დანიშნით	4,5
თ.	საქალაქო ღონისძიება ინვალიდ სპორტსმენთა შორის	დანიშნით	2,0
ი.	ზ.შეყრილაძისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, მ. დოხტურაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი	დანიშნით	4,0
კ.	საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის თ. არჩაიას ხსოვნის ტურნირი ბალახის ჰოკეიში	დანიშნით	3,0
ლ.	საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გივი სარდანაძის სახელობის ტურნირი ჭიდაობა „სამბოში“	დანიშნით	3,0
მ.	ინვალიდთა დღისადმი მიძღვნილი ტურნირი მკლავჭიდასა და წოლჭიმში	3.12.2013	2,0
ნ.	მაია ჩიბურდანიძის საერთაშორისო ფესტივალი ჭადრაკში	დანიშნით	10,0
ო.	მერიის თასის გათამაშება ხელბურთში ვაჟთა გუნდებს შორის	დანიშნით	5,0
პ.	მსოფლიო ჩემპიონის, აკაკი კაკაურიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო ტურნირი კრივში	დანიშნით	10,7
ჟ.	საქალაქო ღია პირველობა სტრონგმენებს შორის	2.05.2013	3,5
რ.	ბეჭდაუდებელი ფალავანის, კოლია ქვარიანის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში	მაისი	4,5
ს.	ქალაქის ნაკრები გუნდების უფროსი მწვრთნელებისა და გუნდის უფროსების შრომის ანაზღაურებისათვის დანამატი	წლის განმავლობაში	90,0
ტ.	სამედიცინო და მედიკამენტებით მომსახურების დაფინანსება	წლის განმავლობაში	2,3



უ.	ბეჭდვითი მომსახურების დაფინანსება	წლის განმავლობაში	0,7
	სულ ჯამი		605,0

ი. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

ი.ა. პროგრამის ბიუჯეტი: 5720,7 ათასი ლარი

ი.ბ. პროგრამის აღწერა და მიზანი: ქალაქის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

ი.გ. მოსალოდნელი შედეგი: საზოგადოების პოზიტიური განწყობისა და ესთეტიკური დონის ამაღლება, უნიკალური და უძველესი ქართული კულტურის ფასეულობების მომავალი თაობებისათვის გადაცემა, კულტურული მემკვიდრეობების შენარჩუნება მომავალი თაობებისათვის; ახალგაზრდობის დაინტერესების ზრდა თეატრალური, სამხატვრო და სამუსიკო დარგების მიმართ, ინტელექტუალური დონის ამაღლება.

ი.დ. შეფასების ინდიკატორები: მუსიკალური ფესტივალების, სპექტაკლებისა და გამოფენების რაოდენობის ზრდა; საზოგადოების ინტერესის, ღონისძიებებზე დამსწრეთა, მათ შორის ტურისტების დასწრების მაჩვენებლები; კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ექსპერტთა დასკვნები და შეფასებები.

კ. ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება“ (პროგრამული კოდი 05 02 01)

კ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 2035,0 ათასი ლარი

კ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: აღნიშნული ააიპ-ის მიზანია ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის ორგანიზება, კოორდინაცია და მათი ფუნქციონირებისათვის ყველა საჭირო ხარჯის დაფინანსება; მოზარდების აღზრდა ქართული და მსოფლიო ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებზე; სამუზეუმო საქმიანობის მართვა და სამუზეუმო ექსპონატების დაცვის უზრუნველყოფა;

ლ. ი.ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 02 02)

ლ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 520,0 ათასი ლარი

ლ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯი. აგრეთვე მოხდება მკითხველთათვის საბიბლიოთეკო დოკუმენტებისა და სამეცნიერო, საინფორმაციო პროდუქციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (ბეჭდური, ხელნაწერი, ელექტრონული და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები); სამეცნიერო რესურსების მიღება, შეგროვება, დაცვა, დამუშავება, პოპულარიზაცია და გამოცემა.

მ. სსიპ „ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი“ (პროგრამული კოდი 05 02 03)

მ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 60,0 ათასი ლარი

მ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მხოლოდ მუზეუმში არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხარჯების დაფარვა.

ნ. სამეფო კომპლექსი „ოქროს ჩარდახი“ (პროგრამული კოდი 05 02 04)

ნ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 30,0 ათასი ლარი

ნ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სამეფო კომპლექსი „ოქროს ჩარდახის“ კეთილმოწყობის ხარჯების დაფინანსება, კერძოდ: რიონის სანაპიროზე მოეწყობა დეკორატიული ღობე, შეიცვლება ისტორიულ თაღებში არსებული ამორტიზებული საფეხურები, მოეწყობა ჭედური, მინი დეკორატიული ჭიშკრები, დეკორატიული გისოსები, შეიქმნება ექვთიმე თაყაიშვილისა და ბაგრატ მეექვსეს ფერწერული ტილოები და სხვა.

ო. ქალაქ ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი (პროგრამული კოდი 05 02 05)

ო.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 50,0 ათასი ლარი

ო.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქალაქ ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება. ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს აღნიშნული ორგანიზაციის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

პ. ააიპ ქუთაისის ფოლკლორის ცენტრი – სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი

(პროგრამული კოდი 05 02 06)

პ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 400,0 ათასი ლარი



პ.პ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ემსახურება მოსახლეობის და განსაკუთრებული შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ცალკეული შემსრულებლისა და ჯგუფების მოზიდვასა და ჩაბმას ხალხური შემოქმედების, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ კოლექტივებსა და წრეებში. ხალხური შემოქმედების, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების შექმნით დაკავებული ადამიანების მოძიებას, აღრიცხვასა და პოპულარიზაციას.

ჟ. ააიპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი“ (პროგრამული კოდი 05 02 07)

ჟ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 110,0 ათასი ლარი

ჟ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა უზრუნველყოფს სასკოლო ასაკის მოსწავლეთა თავისუფალი დროის სწორ ორგანიზებას, სრულფასოვან დასვენებასა და გაჯანსაღებას, ინტელექტუალური დონის ამაღლებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის განსახორციელებელი ღონისძიებების დამკვიდრებას.

რ. ააიპ „ბოტანიკური ბაღი“ (პროგრამული კოდი 05 02 08)

რ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 200,0 ათასი ლარი

რ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ბოტანიკური ბაღის ფუნქციონირებისათვის საჭირო ადმინისტრაციული ხარჯი, სამეცნიერო კვლევითი სასწავლო აღმზრდელი დონითი და კულტურულ – საგანმანათლებლო პროცესების ორგანიზება, სამეცნიერო კონფერენციები.

ს. ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრი (პროგრამული კოდი 05 02 09)

ს.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 800,0 ათასი ლარი

ს.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თეატრის ადმინისტრაციული და სადადგმო ხარჯების დაფინანსება; ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფა; განათებისა და გახმოვანების აპარატურის განახლება. მსოფლიო და ეროვნულ დირებულებათა განვითარების მიზნით მაღალხარისხოვანი სპექტაკლების დადგმა; თეატრალური ხელოვნების პროპაგანდა, მოსახლეობის ფართო ფენების მხატვრული აღზრდა; ქართული თეატრალური მემკვიდრეობის პოპულარიზაცია.

ტ. სსიპ ქუთაისის ბალანჩივაძეების სახელობის ოპერის სახელმწიფო თეატრი და მუსიკალური დარბაზი (პროგრამული კოდი 05 02 10)

ტ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 730,0 ათასი ლარი

ტ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თეატრის ადმინისტრაციული და სადადგმო ხარჯების დაფინანსება; წლის განმავლობაში ჩატარდება საოპერო გუნდის სოლო კონცერტები, აღდგენილი იქნება საბავშვო სპექტაკლები, რითაც რეგიონის მუსიკალური სკოლებისა და ქალაქის სკოლების მოსწავლეებს მიეცემათ საშუალება ჩამოეყალიბდეთ მუსიკალური ხელოვნებისადმი სიყვარული. ორგანიზება გაუკეთდება საგასტროლო ტურნეებს ქალაქ თბილისსა და ბათუმში.

უ. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების თეატრი (პროგრამული კოდი 05 02 11)

უ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 170,0 ათასი ლარი

უ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თეატრის ადმინისტრაციული და სადადგმო ხარჯების დაფინანსება; ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფა; განათებისა და გახმოვანების აპარატურის განახლება.

ფ. კულტურის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 12)

ფ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 526,3 ათასი ლარი

ფ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში ჩატარებული სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები უზრუნველყოფს კულტურის, კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების სფეროებში ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას, დაგეგმვასა და მისი რეალიზაციის კოორდინაციას. კულტურის სფეროში განსაკუთრებით ნიჭიერი და შემოქმედი ახალგაზრდების მხარდაჭერას. კულტურის დღეების, გაცვლითი გასტროლების, კონკურსების, ფესტივალებისა და გამოფენების ორგანიზებას.

ფ.გ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა:

№	ღონისძიებები	თარიღი	ხარჯთაღრიცხვა (ათას ლარებში)	შენიშვნა
1.	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება, მათ შორის:	01.01	516,3	



ა.	კონკურსის წესით დასაფინანსებელი პროექტები		31.12	76,0		
ბ.	კულტურული ინიციატივები		01.01	70,0		
			31.12			
გ.	წლის კალენდარული ღონისძიებები		01.01	228,3		
			31.12			
გ.ა.	ქართული თეატრის დღე		14.01	18,0		
გ.ბ.	„ოსკაროსანი“ ფილმების კინოკვირეული		01.01	1,5		
			31.12			
გ.გ.	დავით აღმაშენებლის ხსენების დღე		08.02	4,4		
გ.დ.	ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების კვირეული		03.03	14,1		
გ.ე.	ქალაქობის დღესასწაული „ორმაისობა“		02.05	80,0		
გ.ვ.	საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება		26.05	6,0		
გ.ზ.	საერთაშორისო ფოტო კონკურსი „ილო“		01.09	8,0		
			01.11			
გ.თ.	„გიორგობის“ დღესასწაული		23.11	3,0		
გ.ი.	ალბომი „ნაცნობი უცნობი ქუთაისი“		01.01	18,0		
			31.12			
გ.კ.	ახალი წლის ღონისძიებები		01.12	53,3		
			31.12			
გ.ლ.	ძეგლთა დაცვის პოპულარიზაციისა და განვითარებისათვის დასაფინანსებელი პროგრამები		01.12	22,0		
			31.12			
	გ.ლ.ა.	ძეგლთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია		01.01	17,0	
				18.04		
გ.ლ.ბ.	კულტურული მემკვიდრეობის კვირეული		01.05	5,0		
			07.05			
დ.	კულტურული ღონისძიებისათვის გახმოვანების აპარატურით მომსახურება		01.01	30,0		
			31.12			
			01.01			



ე.	კულტურული ღონისძიებისათვის საჭირო სხვადასხვა პოლიგრაფიული ნაწარმის (ბუკლეტები, აფიშები, ბანერები, მოსაწვევები, პროგრამები და სხვა) გამოცემა	31.12	30,0	
ვ.	თანამედროვე ლიტერატურის განვითარება და პოპულარიზაცია (ლიტერატურული სადამოებო, კონკურსები, წიგნებისა და ალმანახების გამოცემა)	01.01 31.12	57,0	
ზ.	წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებებისათვის პრომოუშენი	01.01 31.12	25,0	
2.	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	01.01 31.12	10,0	
	სულ თანხა:		526,3	

ქ. ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოები

(პროგრამული კოდი 05 02 14)

ქ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 89,4 ათასი ლარი

ქ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება თეატრის სცენისა და მაცურებელთა დარბაზის აღდგენა, ფასადის შეკეთება.

ქ.გ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის შენობის შეკეთებითი სამუშაოების ხარჯები – 89,4 ათასი ლარი.

ღ. ახალგაზრდული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 03)

ღ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 233,0 ათასი ლარი

ღ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, მათი საქმიანობის ხელშეწყობა, ახალგაზრდების სოციალური დაცვა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა.

ღ.გ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა:

№	წლის კალენდარული ღონისძიებები	თარიღი	ხარჯთაღრიცხვა (ათასი ლარი)
1	ახალგაზრდული კარნავალის მოწყობა(14 იანვარი ტრადიციული საახალწლო კოსტუმირებული კარნავალი)	14.01	10,0
2	წარმატებული ახალგაზრდების შეკრება დაბა „ბაკურიანში“(სულ ტრენინგ-სემინარს დაესწრება, ქალაქის მამტაბით, 30 ახალგაზრდა)	26–28.01	8,0
3	2 მაისის ღონისძიებები(ორმაისობა ქუთაისში, დღის განმავლობაში დაგეგმილია შემცენებითი, გასართობი ღონისძიებები)	2.05	10,0
4	ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა	1.01 31.12	103,0
5	1 ივნისი „ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე“ (დღის განმავლობაში სხვადასხვა ტიპის გასართობი ღონისძიებები)	1.06	2,0
6	„სულორის ბანაკი“(ტრადიციული ბანაკი, სადაც 50 წარმატებული ახალგაზრდა გაემგზავრება, რომლებიც წლის განმავლობაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა პროექტებში)	აგვისტო	10,0



7	მ.ს.კ. ფესტივალი	10.01 10.03	30,0
8	„სპორტული ცეკვები“ საერთაშორისო ტურნირი	წლის განმავლობაში	10,0
9	შემოქმედი ახალგაზრდების შემოქმედების პოპულარიზაცია (ლიტერატურული სადამოები, გამოფენები, კონცერტები, ფესტივალები, კონკურსები, სპექტაკლები)	წლის განმავლობაში	30,0
10	ტრანსპორტირების ხარჯი	წლის განმავლობაში	10,0
11	ახალი სასწავლო წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება	სექტემბერი	5,0
12	ბუკლეტების, მოსაწვევების, ბანერების დამზადება	წლის განმავლობაში	5,0
	სულ ხარჯი		233,0

ე. საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 04)

ე.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 80,0 ათასი ლარი

ე.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის მეტი გამჭვირვალობისათვის, საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირების მიზნით დაფინანსდება საინფორმაციო უზრუნველყოფის ხარჯები.

ე.გ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა:

№	საინფორმაციო უზრუნველყოფის საშუალება	თანხა(ათას ლარებში)
1	ქუთაისის საკრებულოსა და მერიის სამართლებრივი აქტების გამოცემა	30,0
2	ტელევიზია	40,0
3	სხვადასხვა ღონისძიებებისა და საინფორმაციო საშუალებებისათვის	10,0
	სულ	80,0

შ. ქუთაისის გაენათის ეპარქია (პროგრამული კოდი 05 05)

შ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 112,0 ათასი ლარი

შ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

5. სოციალური უზრუნველყოფა და ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ქალაქის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შედევათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ, მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ა. ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)

ა.ა. პროგრამის განმახორციელებელი: თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერიის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ლტოლვილთა სამსახური.



ა.ბ. პროგრამის ბიუჯეტი: 780,0 ათასი ლარი.

ა.გ. პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის მიზანია ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, მძიმე დაავადების მქონე პირების მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით დახმარება, დაავადებული გადახდისუუნარო პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება, გარკვეული კატეგორიის პირების სამედიცინო დაზღვევა.

ა.დ. მოსალოდნელი საბოლოო შედეგები: მოსახლეობაში გადამდებ დაავადებათა პრევენციისა და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების შემოქმედების თავიდან აცილების მიზნით, უზრუნველყოფის გზით, ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება; მედიკამენტებისა და სამედიცინო საგნების ხელმისაწვდომობა. სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, სიკვდილიანობისა და ავადობის შემცირება.

ა.ე. შედეგების შეფასების ინდიკატორები: იმუნიზირებული მოსახლეობის რაოდენობა; სამიშ ინფექციური დაავადებით ავადობის მაჩვენებლის შემცირება; მედიკამენტებით და სამედიცინო დანიშნულების საგნებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა; პროგრამებით დაფინანსებულ მოქალაქეთა გამოკითხვით მიღებული მაჩვენებელი; დაზღვეულ პირთა კმაყოფილება.

ბ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01 01)

ბ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერიის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ლტოლვილთა სამსახური.

ბ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 150,0 ათასი ლარი.

ბ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: საქართველოს კანონით „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ გათვალისწინებული ადგილობრივი თვითმმართველობის დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობა, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

ბ.დ. განსახორციელებელი ღონისძიებები: საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, ქალაქის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით, დერატიზაციის, დეზინფექციისა და საბონიფიკაციო ღონისძიებების ორგანიზება, საგანმანათლებლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისათვის ხელშეწყობა, ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის სამინისტროს მიერ მოწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლისათვის, პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას, ქალაქის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება.

ბ.ე. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა

№	ღონისძიებათა დასახელება	ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო ხარჯი (ლარი)
1	მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	124 000
2	ტრანსპორტირების, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი	6 000
3	სამივლინებო ხარჯი	1 000
4	საოფისე ხარჯი	8 000
5	სამედიცინო ხარჯი	1 000
6	კაპიტალური ხარჯი	3000
7	დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციისა და საბონიფიკაციო ღონისძიებების ხარჯი	5 000
8	საზოგადოებრივი ჯანდაცვითი სხვა ღონისძიებების ხარჯები	2000



სულ ხარჯი	150 000
-----------	---------

ბ.გ. ქვეპროგრამით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პერსონალი

№	თანამდებობა	რაოდენობა	შრომის ანაზღაურების მოცულობა (ლარი)	შრომის ანაზღაურება ერთ თვეში (ლარი)	შრომის ანაზღაურების მთლიანი ხარჯი წელიწადში
1	კოორდინატორი	1	650	650	10 400
2	მთავარი სპეციალისტი	7	600	4200	67200
3	წამყვანი სპეციალისტი	3	550	1650	26400
4	სპეციალისტი	2	450	900	14400
5	დამხმარე პერსონალი	1	350	350	5600
	<i>სულ</i>	14		7750	124000

გ. მედიკამენტებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 02)

გ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერიის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ლტოლვილთა სამსახური.

გ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 180,0 ათასი ლარი.

გ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ინკურაბელური, ქრონიკული, მძიმე დაავადების მქონე პირების მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით დახმარება. დახმარების მიღება მოხდება მედიკამენტის ვაუჩერის გამოყენებით. დახმარების მთხოვნელმა, განცხადებასთან ერთად, უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა. საჭიროების შემთხვევაში, სხვა დამხმარე დოკუმენტი, (ფორმა 100 სამედიცინო დაწესებულებიდან და/ან სხვა) სამსახურის მოთხოვნით. დახმარების მოცულობა განისაზღვრება არაუმეტეს 200 ლარის მედიკამენტებით. ლიმიტსწემოთ დახმარების საკითხი გადაწყდება სამსახურის მიერ დამატებითი არგუმენტებისა და გარემოებების საფუძველზე. ანალოგიურად განიხილება ყველა სხვა შემთხვევაში დახმარების საკითხი. დახმარებით ისარგებლებენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული (მცხოვრები) პირები.

გ.დ. განსახორციელებელი ღონისძიებები: პროგრამის ქვემდებარე კონტიგენტის დადგენა, დახმარების მიზანშეწონილობისა და მოცულობის განსაზღვრა, მედიკამენტის ვაუჩერის დამზადება, გაცემა, სააფთიაქო დაწესებულების შერჩევა, მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების მიწოდება, გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

გ.ე. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა

№	ღონისძიებათა დასახელება	ერთეული	ღონისძიებისათვის საჭირო რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო ხარჯი (ლარი)
1	მედიკამენტებით და სამედიცინო დანიშნულების საგნებით უზრუნველყოფა	ბენეფიციარი	წინასწარ დადგენილი არ არის	არაუმეტეს 200 ლარი	179 500
2	პროგრამის მართვა (საკანცელარიო, საკომუნიკაციო და სხვა ხარჯი)				500
	<i>სულ ხარჯი</i>				180 000

დ. სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 03)



და. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერიის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ლტოლვილთა სამსახური.

დ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 380,0 ათასი ლარი.

და.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: მიმე, სიცოცხლისათვის საშიში დაავადების მქონე და განსაკუთრებული შემთხვევის შედეგად დაავადებული გადახდისუნარო პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება.

დახმარებით ისარგებლებენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული პირები. დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად, უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა, ანგარიშგაქტურა, ფორმა №100 სამედიცინო დაწესებულებიდან. განსაკუთრებულ შემთხვევებში სხვა დამატებითი დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით. დახმარების მოცულობა განისაზღვება თანაგადახდის პრინციპით, მომსახურების ღირებულების არაუმეტეს 50%-ით და არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარით. დახმარების საკითხი განიხილება და გადაწყდება დაავადების, მკურნალობის მეთოდის, ღირებულების, პიროვნების სოციალური სტატუსის და სხვა გარემოებების გათვალისწინებით. ლიმიტსხვევით დახმარების საკითხი გადაწყდება სამსახურის მიერ დამატებითი არგუმენტებისა და გარემოებების საფუძველზე. ანალოგიური წესით განიხილება ყველა სხვა შემთხვევაში დახმარების საკითხი. სამსახურს უფლება აქვს დახმარების მთხოვნელს მიუთითოს სამედიცინო დაწესებულება, სადაც მისი მკურნალობა ნაკლებღირებული და/ან უფრო ხარისხიანი იქნება.

და.დ. განსახორციელებელი ღონისძიებები: მოქალაქეთა განცხადებების განხილვა, დახმარების გაწევის მიზანშეწონილობისა და ოდენობის განსაზღვრა, საგარანტიო წერილების გაცემა, სამედიცინო მომსახურების მიღება სამედიცინო დაწესებულებებში, გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

და.ე. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა

№	ღონისძიებების დასახელება	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ხარჯი (ლარებში)	სულ ხარჯები (ლარებში)
1	სამედიცინო მომსახურება	ბენეფიციარი	ბენეფიციართა რაოდენობა წინასწარ განსაზღვრული არ არის	არაუმეტეს 1000 ლარი	370 200
2	პროგრამის მართვის ხარჯები				9 800
ა.	შრომის ანაზღაურების ფონდი			550	8 800
ბ.	სხვა ხარჯი (საკანცელარიო, კომუნიკაციის, ტრანსპორტირების და სხვა)				1000
	სულ ხარჯი		380 000		

და.ვ. ქვეპროგრამით გათვალისწინებული პერსონალი

№	თანამდებობა	ფუნქცია	რაოდენობა	შრომის ანაზღაურება ერთ თვეში (ლარი)	მთლიანი ხარჯი შრომის ანაზღაურებაზე წელიწადში
	კოორდინატორი	პროგრამის განხორციელების კოორდინაცია, ხელშეწყობა	1	550	8 800

ე. სამედიცინო დაზღვევა (პროგრამული კოდი 06 01 05)

ე.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერიის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ლტოლვილთა სამსახური.

ე.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 70,0 ათასი ლარი.

ე.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: გარკვეული კატეგორიის პირების სამედიცინო დაზღვევა. დასაზღვევ პირთა სიის მოწოდებაზე პასუხისმგებელია ააიპ ქალაქ ქუთაისის ზაგა-ბაღების გაერთიანება და ქალაქ ქუთაისის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.



ე.დ. განსახორციელებელი ღონისძიებები: დასაზღვევ პირთა კონტიგენტის (სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებული პირები, ქალაქ ქუთაისის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები) დადგენა, სადაზღვევო კომპანიის შერჩევა, პროგრამის ქვემდებარე კონტიგენტის დაზღვევა, სადაზღვევო მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისათვის საჭიროა 61200 ლარი, ქვეპროგრამის მართვისათვის – 8800 ლარი.

ე.ე. ქვეპროგრამით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პერსონალი

№	თანამდებობა	ფუნქცია	რაოდენობა	შრომის ანაზღაურება ერთ თვეში	მთლიანი ხარჯი შრომის ანაზღაურებაზე წელიწადში
	კოორდინატორი	პროგრამის მართვა და კოორდინაცია	1	550	8 800

ვ. სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02)

ვ.ა. პროგრამის განმახორციელებელი: თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერიის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ლტოლვილთა სამსახური.

ვ.ბ. პროგრამის ბიუჯეტი: 1514,4 ათასი ლარი.

ვ.გ. პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის მიზანია ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებით უზრუნველყოფა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფს ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ვ.დ. მოსალოდნელი საბოლოო შედეგები: მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება; გაჭირვებული და პრობლემატური ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება; უნარშეზღუდული პირებისათვის საკურორტო-სარეაბილიტაციო მომსახურების ხელმისაწვდომობა, ღვაწლმოსილი და დამსახურებული პირების პატივგება, ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება, საქართველოს „წითელი ჯვრის“ საზოგადოების ქუთაისის ადგილობრივი ორგანიზაციისადმი თანადგომა. გარდაცვლილ ლტოლვილთა ოჯახების მორალური და მატერიალური თანადგომა, უპატრონო მიცვალებულთა პატივგება.

ვ.ე. შედეგების შეფასების ინდიკატორები: პროგრამებით დაფინანსებულ მოქალაქეთა გამოკითხვით მიღებული მაჩვენებელი; გაჭირვებულთა კატეგორიის მაჩვენებლის შემცირება; მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა; დემოგრაფიული პროცესის გაუმჯობესების ხელშეწყობა, მრავალშვილიან დედათა კმაყოფილება.

ზ. სარიტუალო დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 01)

ზ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერიის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ლტოლვილთა სამსახური.

ზ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 70,0 ათასი ლარი.

ზ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ემსახურება საქართველოს კანონებით: „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ გათვალისწინებული ვალდებულებების დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში შესრულებას. განიხილება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული გარდაცვლილი ვეტერანისა და ლტოლვილის დასაფლავების ხარჯების გაწევაში დახმარების საკითხი. დახმარებისათვის წარმოდგენილი უნდა იქნეს: ვეტერანისა და ლტოლვილის დამადასტურებელი მოწმობა; გარდაცვალების ცნობა; დასაფლავების ხარჯის გაწევის დამადასტურებელი ცნობა; დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობა. საჭიროების შემთხვევაში, სხვა დამატებითი დოკუმენტი. უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურებისათვის სავალდებულოა შესაბამისი მომართვა პოლიციის განყოფილებიდან. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული მიცვალებულის სარიტუალო მომსახურებისათვის, რომლის დაკრძალვას ოჯახი ვერ უზრუნველყოფს, სავალდებულოა წარმოდგენილი იქნეს: გარდაცვალების მოწმობა; გარდაცვლილის პირადობის მოწმობის ასლი; შუამდგომლობა ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოდან, საჭიროების შემთხვევაში, სხვა საჭირო დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით.

ზ.დ. განსახორციელებელი ღონისძიებები: გარდაცვლილი ვეტერანისა და ლტოლვილის დასაფლავების ხარჯების გამღებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 300 ლარის ოდენობით. უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურება და ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული მიცვალებულის სარიტუალო მომსახურება, რომლის დაკრძალვას ოჯახი, ფორსმაჟორული სიტუაციის გამო, ვერ უზრუნველყოფს. კერძოდ: სასახლის (ყუთის) დამზადება, სამარის გაჭრა-ამოვსება, კატაფალკით მომსახურება, საფლავის საიდენტიფიკაციო კოორდინატის დადგენა, საფლავზე საიდენტიფიკაციო ფირფიტის დაყენება

№	ღონისძიებათა დასახელება	ერთეული	ღონისძიებისათვის საჭირო	ერთეულის ფასი	ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო ხარჯი
---	-------------------------	---------	-------------------------	---------------	--



			რაოდენობა		(12 თვე)
1.	გარდაცვლილი ვეტერანისა და ლტოლვილის ოჯახების მატერიალური დახმარება ერთჯერადად	ბენეფიციარი	203	300	61000
2.	უპატრონო მიცვალებულთა დასაფლავება, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული მიცვალებულის სარიტუალო მომსახურება, რომლის დაკრძალვას ოჯახი ვერ უზრუნველყოფს	ბენეფიციარი	30	300	9000
სულ ხარჯი					70000

თ. სოციალური საცხოვრისი (პროგრამული კოდი 06 02 02)

თ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერიის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ლტოლვილთა სამსახური.

თ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 28,0 ათასი ლარი.

თ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია თავშესაფრის მაცხოვრებელთათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, მათ სოციალურ რეაბილიტაციაზე ზრუნვა.

თ.დ. განსახორციელებელი ღონისძიებები: სოციალურ საცხოვრისში დასაქმებული სოციალური მუშაკის შრომის ანაზღაურება – 8800 ლარი; სოციალური მუშაკისათვის სამუშაო პირობების შექმნა, კრიზისული სიტუაციების მართვა – 8600 ლარი; სოციალური საცხოვრისის მოხინაღრეთა დახარჯული ელექტროენერჯის თანხის ანაზღაურება, წარმოდგენილი ანგარიშგაქტურების შესაბამისად, ფაქტიური ხარჯის მიხედვით – 10 000 ლარი; ოფისის ხარჯი (საკანცელარიო, კომუნალური, საკომუნიკაციო და სხვა) – 600 ლარი.

ი. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 03)

ი.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერიის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ლტოლვილთა სამსახური

ი.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 232,0 ათასი ლარი.

ი.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული (მცხოვრები) მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, რომელთაც ჰყავთ 4 (ოთხი) და მეტი შვილი, მათ შორის არანაკლებ 3 (სამი) 18 წლამდე ასაკის, ერთჯერადად, მატერიალური დახმარების გაწევა. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ (მცხოვრებ) ოჯახებს, რომელთაც 2013 წელში შეეძინებათ მე-4, მე-5 და შემდეგი შვილი, გაეწევათ მატერიალური დახმარება ერთჯერადად. დახმარება მიეცემა დედას, მამას ან სხვა უფლებამოსილ წარმომადგენელს. სავალდებულოა შვილის შეძენის მომენტისათვის ორივე მშობელი იყოს რეგისტრირებული (მცხოვრები) ქალაქ ქუთაისში, ასევე დახმარების მიმღები მრავალშვილიანი ოჯახის ორივე მშობელი რეგისტრირებული (მცხოვრები) იყოს ქალაქ ქუთაისში. იმ შემთხვევაში, თუ 2012 წელს შვილის შეძენისას, ბენეფიციარს დახმარება არა აქვს მიღებული, შესაძლებელია მას დახმარება მიეცეს 2013 წელს. განსაკუთრებულ შემთხვევებში დახმარების საკითხი განიხილება და გადაწყდება სამსახურის მიერ დამატებითი არგუმენტაციისა და გარემოებების საფუძველზე. დახმარების მისაღებად განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს: 1. ბავშვის (ბავშვების) დაბადების მოწმობა, 2. დედის და მამის პირადობის მოწმობები, 3. ქორწინების მოწმობა (საჭიროებისას), 4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან (საჭიროებისას), 5. სხვა საჭირო დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით.

ი.დ. განსახორციელებელი ღონისძიებები: მოქალაქეთა განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტების განხილვა, პროგრამის ქვემდებარე კონტიგენტის (ბენეფიციართა) დადგენა, ბენეფიციარებზე მატერიალური დახმარების გაცემა: მრავალშვილიან ოჯახზე ერთჯერადად 700 ლარის ოდენობით; მე-4 შვილის შეძენისას 400 ლარის ოდენობით; მე-5 შვილის შეძენისას 500 ლარის ოდენობით, ყოველი შემდეგი შვილის შეძენისას თანხა გაიზრდება 100 ლარით.

ი.ე. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა:

№	ღონისძიებათა დასახელება	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ხარჯი	სულ ხარჯები
1	მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური დახმარება	ბენეფიციარი	300	700	210 000
2	მე-4, მე-5 და შემდეგი შვილის შეძენისას მატერიალური დახმარება	ბენეფიციარი	წინასწარ განსაზღვრული არ არის	მე-4 შვილის შეძენისას – 400 ლარი, მე-5 შვილის შეძენისას 500 ლარი, ყოველი შემდეგი შვილის	22 000



		შეძენისას 100 ლარის დამატებით
	სულ ხარჯი	232 000

კ. სოციალური ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02 04)

კ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერიის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ლტოლვილთა სამსახური.

კ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 276,0 ათასი ლარი.

კ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: გარკვეული კატეგორიის ღვაწლმოსილი, დამსახურებული და სოციალურად დაუცველი პირებისათვის ტრადიციულ დღესასწაულებთან და ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებების მოწყობა; კურორტული სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურების გაწევა.

კ.დ. განსახორციელებელი ღონისძიებები: ტრადიციულ დღესასწაულებთან (აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, ახალი წელი) დაკავშირებით, ბენეფიციარებისათვის სურსათით და სხვა სახის დახმარების გაწევა, საზაფხულო დასვენება-რეაბილიტაციის მოწყობა კურორტებზე, ღირსშესანიშნავი დღეებისა და თარიღების აღნიშვნა, ღონისძიებების მოწყობა შესაბამისი კატეგორიის ღვაწლმოსილი, დამსახურებული, უნარშეზღუდული და სოციალურად დაუცველი პირებისათვის, საქართველოს „წითელი ჯვრის“ საზოგადოების ქუთაისის ადგილობრივი ორგანიზაციის კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯების ანაზღაურება

კ.ე. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა:

№	ღონისძიებების დასახელება	სულ ხარჯები ლარებში	შენიშვნა
1	ტრადიციული დღესასწაულების აღნიშვნა, საზაფხულო დასვენება-რეაბილიტაციის ღონისძიება, ღირსშესანიშნავი დღეებისა და თარიღების აღნიშვნა	264 700	ღონისძიებების ჩამონათვალი სავარაუდოა, მათი შინაარსი, განხორციელების თარიღი და ბიუჯეტი გადაწყდება და დაკონკრეტდება წლის განმავლობაში
2	საქართველოს „წითელი ჯვრის“ საზოგადოების ქუთაისის ადგილობრივი ორგანიზაციის კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯების ანაზღაურება	500	„წითელი ჯვრის“ საზოგადოების ქუთაისის ადგილობრივი ორგანიზაციისათვის თანხის ანაზღაურება მოხდება ფაქტიური ხარჯის მიხედვით, წარმოდგენილი ანგარიშფაქტურების შესაბამისად
3	პროგრამის მართვა:	10 800	
ა	შრომის ანაზღაურების ფონდი	8 800	
ბ	პროგრამის მართვის ხარჯები (საკანცელარიო, ტრანსპორტირების, საკომუნიკაციო და სხვა)	2 000	
	სულ ხარჯი	276 000	

კ.ვ. ქვეპროგრამით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პერსონალი.

№	თანამდებობა	ფუნქცია	რაოდენობა	შრომის ანაზღაურება ერთ თვეში	შრომის ანაზღაურების მთლიანი ხარჯი წელიწადში
	კოორდინატორი	პროგრამის მართვა და კოორდინაცია	1	550	8 800



ლ. უფასო მგზავრობა (პროგრამული კოდი 06 02 05)

ლ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერიის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ლტოლვილთა სამსახური.

ლ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 102,0 ათასი ლარი.

ლ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: საქალაქო ტრანსპორტით (ავტობუსით) სარგებლობის უზრუნველყოფა შემდეგი კატეგორიის პირებისათვის: უფასო კვების პროგრამის ბენეფიციარები; II მსოფლიო ომის ვეტერანები; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის ინვალიდები და მარჩენალდაკარგულები; „წითელი ჯვრის“ კლუბების ხანდაზმული პენსიონერები; „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების“ პროგრამით მოსარგებლე დედები; მხედველობის მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები; სტუდენტური ოჯახები (ცოლი და ქმარი, ორთავე სტუდენტი). სულ: 1050 პირი. ქვეპროგრამით სარგებლობა მოხდება სამგზავრო მოწოდებისა და ბილეთების გამოყენებით. თითოეულ ბენეფიციარზე გაიცემა თვეში 60 ბილეთი (ერთეულის ფასი 20 თეთრი), ბილეთის გამოყენება შეიძლება სამგზავრო მოწოდებასთან ერთად. ქვეპროგრამით ისარგებლებენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული (მცხოვრები) პირები. სამგზავრო მოწოდების მისაღებად საჭიროა ფოტოსურათის, პირადობის მოწოდებისა და კატეგორიის მიმანიშნებელი დოკუმენტის წარმოდგენა. ეკონომიის ხარჯზე შესაძლებელია დამატებითი კატეგორიის კონტიგენტისა და განსაკუთრებული შემთხვევების მომსახურება, სამსახურის გადაწყვეტილებით. პროგრამაზე მომსახურე გადამზიდავებისათვის თანხის ანაზღაურება მოხდება, ტრანსპორტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი გახარჯული ბილეთების რაოდენობის მიხედვით.

ლ.დ. განსახორციელებელი ღონისძიებები: პროგრამით მოსარგებლე პირთა კონტიგენტის (ბენეფიციართა) დადგენა. სამგზავრო მოწოდების დამზადება, გაცემა. საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობა.

ლ.ე. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა

№	ღონისძიებათა დასახელება	ერთეული	ღონისძიებისათვის საჭირო რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო ხარჯი (12 თვე)
1	საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის უზრუნველყოფა	ბენეფიციარი	1050		100800
2	პროგრამის მართვის ხარჯი (სამგზავრო მოწოდების დამზადება, საკანცელარიო ხარჯი და სხვა)				1200
	<i>სულ ხარჯი</i>				<i>102 000</i>

მ. მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 06)

მ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერიის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ლტოლვილთა სამსახური.

მ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 250,0 ათასი ლარი.

მ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა კატეგორიის უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისათვის, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული (მცხოვრები) მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, რომელთაც ჰყავთ 6 (ექვსი) და მეტი შვილი, ასევე ახლადწარმოშობილი, გაუთვალისწინებელი პრობლემის წინაშე და ფორსმაჟორულ სიტუაციებში მყოფი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევას. დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწოდების ქსეროასლი, საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით. დახმარების საკითხი განიხილება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ (მცხოვრებ) პირებზე. ბენეფიციართა რაოდენობა და კატეგორია დაუზუსტებელია და მათი დადგენა მოხდება პროგრამის მიმდინარეობისას. დახმარების საკითხი განიხილება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით. სამსახურს უფლება აქვს დამატებითი არგუმენტაციის მოკვლევის მიზნით მოითხოვოს შუამდგომლობა მერიის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოდან. დახმარების მოცულობა განისაზღვრება 200 (ორასი) ლარის ოდენობით. ასევე პროგრამის გამჭირვალობის უზრუნველსაყოფად, ბრძანების გამოსვლამდე, სოციალურ თემებზე ორიენტირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს გაეგზავნოთ ბენეფიციართა სია (სახელი, გვარი, მისამართი). დახმარება გაიცემა ბენეფიციარზე, რომლის ოჯახის არცერთი წევრი არ მუშაობს. განსაკუთრებულ შემთხვევებში, დამატებითი გარემოებებისა და არგუმენტების საფუძველზე შესაძლებელია ლიმიტსზედა თანხით დახმარება. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული (მცხოვრები) მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, რომელთაც ჰყავთ 6 (ექვსი) და მეტი შვილი, დახმარების მოცულობა განისაზღვრება 700 (შვიდასი) ლარის ოდენობით.

მ.დ. განსახორციელებელი ღონისძიებები: მოქალაქეთა განცხადებების განხილვა, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და პრობლემების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოპოვება, მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, დახმარების მიზანშეწონილობისა და დახმარების მოცულობის საკითხის გადაწყვეტა, პროგრამის ქვემდებარე კონტიგენტის დადგენა, მატერიალური დახმარების გაწევა.

მ.ე. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა:



№	ღონისძიებათა დასახელება	ერთეული	ღონისძიებისათვის საჭირო რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო ხარჯი (12 თვე)
1	მატერიალური დახმარება	ბენეფიციარი	წინასწარ განსაზღვრული არ არის	200 ლარი	207 700
2	მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური დახმარება	ბენეფიციარი	48	არაუმეტეს 700 ლარი	33 600
3	შრომის ანაზღაურების ფონდი			550	7 700
4	პროგრამის მართვის ხარჯი (საკანცელარო, საკომუნიკაციო, ტრანსპორტირებისა და სხვა)				1 000
	სულ ხარჯი				250 000

მ.გ. ქვეპროგრამით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პერსონალი

№	თანამდებობა	ფუნქცია	რაოდენობა	შრომის ანაზღაურება ერთ თვეში	მთლიანი ხარჯი შრომის ანაზღაურებაზე წელიწადში
	კოორდინატორი	პროგრამის მართვა და კოორდინაცია	1	550	7 700

ნ. ხანდაზმულთა სოციალური ცენტრების მომსახურება (პროგრამული კოდი 06 02 07)

ნ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 23,4 ათასი ლარი.

ნ.ბ. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერიის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ლტოლვილთა სამსახური.

ნ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალი წლის სადღესასწაულო ღონისძიების ორგანიზებას (ალაფურშეტის მოწყობა) და ექსკურსიის მოწყობას 50 ბენეფიციარისათვის.

ნ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა

№	ღონისძიებათა დასახელება	სულ ხარჯები (ლარი)
1	ახალი წლის სადღესასწაულო ღონისძიებების ორგანიზება (ალაფურშეტი)	1500
2	ექსკურსიის მოწყობა 50 ბენეფიციარისათვის	1500
3	პროგრამის მართვის ხარჯი	2100
4	შრომის ანაზღაურების ფონდი	14300
